საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტია

№ 371 1918 წ. ხუთშაბათი ოქტომბრის 31. № 371

ქართული საქმე

მთავარი კომიტეტის ორგანო

ფასი 50 კაპ.
რაიონის გარეთ 60 კაპ.

გერმანია ვილსონის ყველა პირობებს დასთანხმდა. ავსტრია თანახმაა ვილსონის ყველა მოთხოვნილება დააკმაყოფილოს და სეპარატიული მოლაპარაკება გამართოს. ლლოიდ ჯორჯი და ბალფური საფრანგეთში ჩავიდნენ. უაზის არხთან გერმანელებმა ფრანგების იერიში დაამარცხეს. დღეს საქ პარლამენტის სხდომაა.

მწუხარებით გულდამწვარნი, მშობლები ბარბარე და ქრისტესია, მეუღლე თამრო, ძმები: ვანო და სტეფანე, დები: მარიამი და სონა, დისწული ნინო კიკნაძე, სიძეები მიხეილ ძიძაძე და შაქრო ხახობოვი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი ნუგეში

კოლა ქრისტესიას ძე გუთლიაშვილი.

მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან ხუთშაბათს, ოქტომბრის 31-ს დილის 10 საათზე (ცხრამეტი თებერვლის ქუჩა 66) მიასვენებენ ანჩისხატის ეკლესიაში, წირვის შემდეგ დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდი ოქტომბრის 30-ს საღ. 5 საათზე. 2252

სოსო ჩიტოშვილი, იოსებ თანდილაშვილი და კოლა სესიაშვილი, დამწუხრებულნი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ოქტომბრის 27-ს გარდაიცვალა მათი ძვირფასი ამხანაგი და მეგობარი

კოლა ქრისტესიას ძე გუთლიაშვილი.

მიცვალებულს გამოასვენებენ თავის ბინიდან ხუთშაბათს, ოქტომბრის 31-ს, დილის 10 საათზე (ცხრამეტ თებერვლის ქუჩა № 66) მიასვენებენ ანჩისხატის ეკლესიაში. წირვის შემდეგ დაკრძალვა მოხდება პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. პანაშვიდი ოქტ. 10-ს საღამოს 5 ს. 2252

უზომოდ მწუხარენი—მღვ. ილარიონ ხახუტაშვილი და შვილები ნინო, გიორგი, დათა, ელენე აუწყებენ გულშემატკივართ გარდაცვალებას შვილის და დის 22 წლის

კატოსი

რომლის წირვა-ანდერძი შესრულდება მეჯვრისხევის უსანეთის ეკლესიაში ღვინობისთვის 31. 2273

ღრმა მწუხარებით გულდათუთქულნი მეუღლე მარიამ რევაზის ასული, შვილები: ლოლა, სონია და რევაზ გახუტაშვილები, სიდედრი ოლღა ივანეს ასული და ცოლის და ნინო რევაზის ასული მაღალაშვილები აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა

გიორგი ლუარსაბის ძე გახუტაშვილი

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 ს. არკადის შესახვევი № 5. დასაფლავების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 2275

განცხადება

ქართულ რკინის გზის ნავთ-სამრეწველო განყოფილების ეზოში, ალექსანდროვის ქუჩაზე № 54, ამა ნოემბრის 1-ლს დილის 11 საათზე (ახალი სტილით) დანიშნულია საჯაროდ გაყიდვა ერთი ცხენისა. 1390

საინჟინერო-სატეხნიკო სექცია იწვევს სამხედრო სამსახურში უკვე წინანდელ სამსახურში ვადა შესრულებულ უნტერ-ოფიცერთ და ზედამდეგებს (ფელდფებელებს) საპიორთა და ტელეგრაფისტებთა შემდეგს პირობებზე: კანონით გარდა სახელმწიფო ულუფისა, ტან-საცმელისა და ჯარისკაცის ჯამაგირისა დამატებით მიეცემათ კიდევ 250 მანეთი ყოველ თვე, ზემოხსენებულ პირთ. მსურველთ ევალებათ გამოცხადების დროს უსათუოდ წარმოადგინონ თავიანთ უწინდელი სამსახურის შესახებ საჭირო საბუთები; ვისაც ეს საბუთები არ ექნება, საქმსახურში მიღებული ვერ იქნება. დაწვრილებით ცნობების მისაღებად საჭიროა მიმართოთ ტფილისში საინჟინერო-სატეხნიკო სექციაში ყოფილი მთავარი შტაბის შენობაში სასახლის ქუჩაზე, ნაშუადღევის 2 საათიდან ყოველ დღე, გარდა კვირა და უქმე დღეებისა. 1375

ცირკი „მოდერნი“

(ყოფილი ძმ. ეფიმოვებისა, მიხეილის ქუჩა)
დღეს, ოქტომბრის 31-ს, გაიმართება

დიდი სასპორტო წარმოდგენა

სამი განყოფილებით. დღეს სიცილისა და გართობის საღამოა. ახალი სახუმარო ანტრე. საზოგადოების საყვარელ ხუმარების ვიქტორისა და დიმის მონაწილეობით გამოსვლა დღიურ პირვარამის ხუმარების ზინკოვსკებისა. გამოსვლა ჰაერის მეფის სამი ეშმაკისა. გასტროლი საკვირველ ხუმარის ფლერენსისა. ნიკოლინის ჰაერში აფრენა. მონაწილეობს მთელი დასი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ანონსი: ვიქტორისა და დიმის ბენეფისი.
მთავარი ადმინისტრატორი პ. ელიზაროვი. 2274

ტფილისი, ოქტომბრის 31.

კავკასიის ერები.

ბორჩალოს უკანასკნელი ამბები ყველასათვის ცხად ყოფენ, რომ არის მთელი რიგი სამეზობლო და კავკასიის ფარგლის საერთაშორისო საკითხი, რომლის გადაჭრა ისევე დიდი ეროვნული და სახელმწიფოებრივი საქმეა, როგორც შინაურ ანარქიის ჩაქრობა. ასეთი საკითხები მარტო საქართველოს როდი ეხება, სომხეთისათვის, ადერბეიჯანისათვის, ყველა პატარა ადგილობრივ სახელმწიფოებრივ ხასიათის ერისათვის არსებობს ხსენებული საკითხი და მის მოგვარებაში უეჭველია ყველაა დაინტერესებული. ეს საერთო ნიადაგი ჩვენ იმედს გვაძლევს, რომ ადგილობრივ საკითხებს ჩვენ თვითონვე გადავჭრით და ამისათვის უცხო ძალის ჩარევა ჩვენს საქმეებში—იქნება ეს ჩარევა არბიტრაჟის სახით თუ სხვა პირობით—საჭირო არ არის.

საქართველოს რესპუბლიკამ ამ მხრივ უკვე გადადგა ნაბიჯი ხსენებულ რესპუბლიკის მთავრობა არსებითად მშვიდობიანობის მთავრობაა და საშინაო ცხოვრებიდან საქართველოს მთავრობას ეს პრინციპი გააქვს საგარეო ცხოვრების სფეროში. განა საქართველოს მშვიდობიანობის პოლიტიკა არ დაუპირისპირა სომხის იმპერიალისტების განზრახვას და უეჭველია ჩვენი მთავრობის მშვიდობიანობის პოლიტიკამ უკვე ორივე ერს მოუპოვა საგრძნობი სარგებლობა. ეს პოლიტიკა ამიერიდანაც უნდა განვავითაროთ და ყოველი ჩვენი საკითხი გადავჭრათ არა დიპლომატების ჩარევით და დიპლომატიით, არამედ ბრძოლაში გამობრძმედილ რევოლიუციონერების და საერთოდ ეროვნულ დემოკრატიზმის გზით. საქართველო, რომელიც ყოველთვის დემოკრატიზმს ანიჭებდა პრიორიტეტს, ეხლაც ამ გზას დაადგა და კავკასიაში პირველად ამ საშუალებას საქართველო მიმართავს. საქართველოს მთავრობას გადაუწყვეტია ნოემბრის ათისთვის ტფილისში მოიწვიოს კავკასიის ეროვნულ-სახელმწიფოებრივ ერთეულების წარმომადგენელნი, რომლებმაც უნდა შეეცადონ და გადასჭრან ერთმანეთის სადავო საკითხები. ზედმეტია იმის ლაპარაკი, რომ ამ კონფერენციას ყოველ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს, ის ძვირფასია ადგილობრივ სახელმწიფოების დაახლოვების საქმეში, და მეგობრობაში, შეთანხმებისათვის და ერთმანეთის გაძლიერების საქმისათვის, რაც საჭიროა მსოფლიო ზავის წინ, რომ პატარა ერები გამოცხადდნენ საზავო კონფერენციაზე შეკავშირებულ-შეთანხმებულნი.

დღემდე ადგილობრივმა სახელმწიფოებმა შესძლეს თავის დაცვა, ეს გამოთავთავებული სახელმწიფოებრივი არსებობა ჯერ თვით ჩვენ უნდა ვიცნათ, რომ ყოველ შემთხვევისათვის ეს არ იყოს სადავო და საეჭვო. კავკასიის მრავალ ერის ამ მხრივ შეთანხმებას მეტად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს და თუ ეს მაინც მოხერხდა ნოემბრის კონფერენციაზე—უეჭველია—მსოფლიო ზავი ვერავითარ შემთხვევაში ვერ შესძლებს მის უარყოფას.

გვინდა ხაზი გაუსვათ პატარა ერების წინასწარ კონფერენციის მეტად დიდ მნიშვნელობას. როგორც ვიცით ამ მხრივ ჯერ არსად არავის ნაბიჯი არ გადაუდგამს, ამ მხრივ პიონერის როლი ბუნებრივად საქართველოს რესპუბლიკას ერგო და ჩვენ ვფიქრობთ, რომ პატარა სახელმწიფოების და ერების კონფერენციის იდეა უფრო უნდა ფართო მასშტაბით დავსვათ და მარტო კავკასიის ერების კონფერენციით არ დავკმაყოფილდეთ. ძველ რუსეთშიაც ეროვნულ საკითხის საქმეში საქართველოს ერთი პირველი როლი ქონდა დაჭერილი, ეხლაც იმავე ტრადიციასთან გვაქვს საქმე და ამ მხრივ კიდევ უფრო სერიოზულ ნაბიჯის გადადგმა, ვიდრე კავკასიის ერების კონფერენციაა, დიდ სარგებლობას მოუტანს როგორც ჩვენს ქვეყანას საერთოდ, ისე საზოგადოდ დაჩაგრულ ერების სახელმწიფოებრივ კონსტრუქციის და კონსოლიდაციის საქმეს.

არავისათვის საეჭვო არ იქნება, რომ მსოფლიო საზავო კონფერენციაზე დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოები თავიანთ საქმეებით და ინტერესებით დატვირთულნი უკანასკნელ ადგილს დაუთმობენ ახალ სახელმწიფოების და ერების საქმეს. მხოლოდ ყველა პატარა ერის და სახელმწიფოს წინასწარი მოლაპარაკება, შეთანხმება და შეკავშირება შესძლებს იმპერიალისტურ სახელმწიფოების ძლავმვას და საპატიო იმაღლეზე აყვანას ერების ბედ-იღბალისა.

დამფუძნებელი კრება.

ჩვენს ხალხს და საზოგადოებას დიდი ხანია ესმის დამფუძნებელი კრების ამბავი. ჯერ კიდევ რუსეთის რევოლიუციამდე პოლიტიკური პარტიები იმას ჩააგონებდნენ ყველას, რომ დღევანდელი წესწყობილება უნდა დაირღვეს და მის ნანგრევებზე ახალი უნდა აღმოაცენოს და განამტკიცოს დამფუძნებელმა კრებამაო. თვითონ რევოლიუციის პირველ დღეიდანვე ხომ საყოველთაო ლოზუნგი გახდა დამფუძნებელი კრების მოწვევა. მაგრამ რუსეთის რევოლიუციის მეთაურებმა რაღაც განგებად მიიჩნიეს ეს და დამფუძნებელი კრება და ყველაფერი მისთვის გადადვეს. რაც უნდა საკითხი წამოჭრილიყო, რაც უნდა უბედურება დასტეხოდათ თავს, რაც უნდა სასწრაფო საქმე ყოფილიყო, ასე ამბობდნენ: დამფუძნებელი კრება გადასწყვეტს, ჩვენ არ შეგვეხებაო. ამან ძალაუნებურად შექმნა უმოქმედობა, რევოლიუციონური აღტყინება სიტყვებში დადნა, ენერგია ცალიერ რეზოლიუციებს გადაჰყვა და საქმე არაფერი გაკეთდა: შინაური ცხოვრება მოუწესრიგებელი დარჩა, გარეთაც აირ-დაირია მდგომარეობა. ყველაფრის გადადება დამფუძნებელ კრებისთვის—იყო ერთი მთავარ მიზეზთაგანი რევოლიუციის დაუძლურებისა, დემოკრატიის დაშლისა. რევოლიუცია უდიდესი მოქმედების და საქმიანობის ხანაა და პრაქტიკული შემოქმედების შეჩერება რევოლიუციის დროს—ეს რევოლიუციის უარყოფა დამარხვაა. ჩვენის აზრით, რუსეთის ამბები სულ სხვანაირ მიმართულებას მიიღებდა, რომ ყოფილიყო რაიმე წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც დამფუძნებელი კრების მოწვევამდე პარლამენტს, კრებულის როლს იკისრებდა და არ მიაგდებდა, სახვალიოთ არ გადადებდა მეტად მომწიფებულს და საჩქარო საქმეებს. ამ მხრივ ჩვენი რევოლიუციის ვითარება გაცილებით უკეთესია. ვამბობთ ჩვენს რევოლიუციას, ვინაიდან თუმცა ჩვენი ამბები არის გაგრძელება და შედეგი რუსეთის რევოლიუციისა, მაგრამ რაც მოხდა მაისის 26-ს და შემდეგ—ყოველივე ეს მაინც განსაკუთრებული, ჩვენი საკუთარი რევოლიუციაა ამ სიტყვის უმაღლესის მნიშვნელობით. ჩვენი ერისთვის უდიდესი ბედნიერება იყო, რომ შარშან ნოემბერში გაიმართა ეროვნული ყრილობა, და ამ ყრილობამ აირჩია ეროვნული საბჭო, რომელიც ასე თუ ისე სახეა ჩვენებურ ძალთა განწყობილებისა, გამოხატავს ქართველი ერის პოლიტიკურ მისწრაფებას, მის შეგნებას და ნების ყოფას. ჩვენი ეროვნული საბჭო, დღეს პარლამენტად წოდებული, სრულებით არაა შემთხვევითი კრებული, არამედ იქაა თავმოყრილი ყველა ის მიმართულება, ცოცხალი აზრი და დანასკვნი მრავალ წელთა მუშაობისა, რაიც კი არსებობს ჩვენს ხალხში, ჩვენი ერის სხვა და სხვა ნაწილები და ასეთს კრებულს სრული უფლება ჰქონდა მიეღო თავის თავზე როგორც მაისის 26-ს აქტი ისე სხვა საკითხის გადაჭრა, რაც აუცილებელია ჩვენის სახელმწიფოს მოწყობისა და განმტკიცებისათვის. ბედნიერება იყო, რომ არსებობდა ასეთი ჯეროვანი დაწესებულება, რომელმაც გამოაცხადა ერის დამოუკიდებლობა და დამოუკიდებელი არსებობის ჩამოყალიბება დამფუძნებელი კრებისთვის კი არ გადადვა, არამედ თვით იკისრა და პრაქტიკულად შეუდგა მის განხორციელებას. ამით ეროვნულმა საბჭომ დიდი ისტორიული სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას და ჩვენს რევოლიუციის გამარჯვებას.

ეროვნულ საბჭოს—ეხლანდელ პარლამენტს—რომ არ გაეკეთებია ის სახელმწიფოებრივი საქმე, რომელიც თავს იდვა, შეიძლება ჩვენი დამოუკიდებლობის ნასახიც არ დარჩენილიყო აქამდის და დამფუძნებელი კრების მოწვევაც მეტი შეიქნებოდა. სწორედ ეროვნულმა საბჭომ გაკაფა გზა და მოამზადა ნიადაგი საქართველოს დამფუძნებელ კრებისათვის. დამფუძნებელი კრება უნდა აღმოცენდეს ეროვნულ საბჭოს საქმიანობაზე და მისი მოღვაწეობა იქნება მხოლოდ გაგრძელება ეროვნული საბჭოს მუშაობისა. არსებითი განსხვავება ამ ორ დაწესებულების შორის შეუძლებელია, ერთია მეორის პირდაპირი მემკვიდრე. ორივეს ერთი მიზანი აქვს—საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის მოწყობა და დაცვა, შექმნა ქართველი ერის შემოქმედების უმაღლესი განვითარების პირობებისა. არსებითად ერთია დღევანდელი პარლამენტი და მომავალი დამფუძნებელი კრება და მართალი რომ ვსთქვათ, უდიდესი აქტები ჩვენი ახალის ცხოვრების დამფუძნებისა უკვე შესრულებულია...

მიუხედავად ამისა საქართველოს რევოლიუციის ხელმძღვანელთა და თვითონ ეროვნული საბჭოს—პარლამენტის—მოვალეობაა, რაც შეიძლება მალე მოწვეულ იქნეს დამფუძნებელი კრება, რაც შეიძლება მალე მოხდეს დაკითხვა მთელი ქართველი ხალხისა საქართველოს განთავისუფლების საკითხის გარშემო, რომ კიდევ ერთხელ და სამარადისოდ დადასტურდეს ქართველი ერის თავისუფალი არსებობა, მისი აღდგენა და აღორძინება.

სამ. ფირცხალავა.

მთავრობაში

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1918 წ. ოქტომბრის 24 სხდომაზე დაადგინეს: „მიეცეს წინადადება ტყვიბულის მაღაროების მუშებს და მოსამსახურეებს ორი დღის განმავლობაში შეუდგნენ მუშაობას და თუ ისინი დანიშნულ დროზე არ გამოცხადდნენ, ჩაითვლებიან წასულებათ თავის ნებით, სალიკვიდაციო ფულის მიუცემლად.

შრომის მინისტრს დაევალოს წარმოადგინოს საჩქაროდ ნორმალური წესები უწყებულ მაღაროებში მუშების შესახებ.

—

შინაგან საქმეთა სამინისტრომ აცნობა გზათა სამინისტროს, რომ მინისტრი ვერ სცნობს მოსახერხებლად შუამდგომლობის აღძვრას მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ რკინის გზის მილიციის უფროსს მიეცეს უფლება სასამართლოს დადგენილების გარეშე ვინმე შეიპყროს.

—

საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტრომ აცნობა გზათა სამინისტროს კანცელარიას მის შეკითხვაზე, ოქროს და ვერცხლის ფულის კონფისკაციის შესახებ, რომ სამინისტრო საჭიროდ სთვლის ყველა ოქროს და ვერცხლის ფულის კონფისკაციის მოხდენას და გადაცემას სახელმწიფო ხაზინაში. პატრონებს კი ნაცვლად ოქროსა დ ვერცხლის ფულისა უნდა მიეცეთ ბონები და ყველა ამგვარი შემთხვევები ეცნობოს ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს.

—

გზათა სამინისტრო სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს გააგებინოს რამდენად შეეფერება სინამდვილეს რკინის გზათა სასურსათო კომისიის ცნობა მაგარ სასმელებით ვაჭრობის თავისუფლების შესახებ და თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ როგორ და რა გზით შეიძლება ამ უფლების აღდგენა რკინის გზის ბუფეტების მოიჯარადრეთათვის. ამასთანავე დასძენს გზათა სამინისტრო, რომ აღნიშნულ შუამდგომლობის დაკმაყოფილებას არა მცირედი მნიშვნელობა აქვს რკინის გზის საერთო შემოსავლიანობის აწევისა და გაძლიერებისათვის. დასასრულ სამინისტრო სთხოვს შინაგან საქმეთა მინისტრს თავისი აზრი დაუყონებლივ აცნობოს გზათა სამინისტროს.

საქართველოს პარლამენტი

სამშაბათი, ოქტომბრის 29.

რუსთა ეროვნულმა საბჭომ უკვე დაასახელა და საქართველოს პარლამენტის პრეზიდიუმს წარუდგინა მანდატები თავისი ორი წარმომადგენლისა. ესენი არიან მიხეილ სმირნოვი და ალექსანდრე კალიუგინი.

ცნობილი არის, რომ საქართველოს პარლამენტის წევრისათვის აუცილებელია საქართველოს ქვეშევრდომობა.

ცნობილი არის ისიც, რომ სახელმწიფო კანონებს უნდა ემორჩილებოდეს სახელმწიფოს ყველა მოქალაქე და დაწესებულება.

რუსთა ეროვნული საბჭო კი გზავნის პარლამენტში წევრებად მ. სმირნოვსა და ალ. კალიუგინს, რომელთა საქართველოს ქვეშევრდომობა საეჭვოა.

რუსთა ეროვნული საბჭო ირჩევს პარლამენტში გასაგზავნ დეპუტატებს თავისი წესდების მე 15 პარაგრაფის მიხედვით და არა საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონის ძალით.

კანონში გარკვეულია: საქართველოს პარლამენტის წევრებს ირჩევენ ისეთი ეროვნული საბჭოები, რომელთა წევრნი საქართველოს მოქალაქენი არიან და რომელთა მოქმედებაც მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება.

სმირნოვის და კალიუგინის საბჭო კი არის აწ განსვენებულ ამიერკავკასიის რუსთა ეროვნული საბჭო და ამიტომ სრული უფლება ჰქონდა სამანდატო კომისიას, როდესაც არა კანონიერად იცნო მათი არჩევანი.

ასევე დაცულ იქმნა კანონი ებრაელთა წარმომადგენლობის საკითხშიც. ებრაელთაგან პარლამენტის პრეზიდიუმს მიუვიდა ორი მანდატი: ერთი ებრაელთა ეროვნულ საბჭოსაგან, რომელიც სამ დეპუტატს ასახელებს, მეორე ქართველ ისრაელთა ინტერპარტიულ საბჭოსაგან, რომელმაც ორი დეპუტატი აირჩია ქართველ ისრაელთა წარმომადგენლებად. კანონის ძალით საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს სამი ადგილი ეკუთვნით პარლამენტში: ორი ქართველ ისრაელებს, ერთიც დანარჩენებს. მაშასადამე, რამდენად კანონიერია მანდატი ქართველ ისრაელებისა, იმდენად უკანონოა ებრაელთა ეროვნული საბჭოსი, რომელმაც ყველა ებრაელთა ადგილი მიითვისა და ერთის ნაცვლად სამი დეპუტატი გამოგზავნა.

სამანდატო კომისიამაც უარყო პირველი მანდატი.

პარლამენტმა დაადასტურა სამანდატო კომისიის ორივე დადგენილება.

რუსთა და ებრაელთა მანდატების გარჩევის შემდეგ იმართება კამათი დამფუძნებელი კრების დებულების გარშემო, რომელიც წაკითხული იქმნა წარსულ მორიგ სხდომაზე, დღეს ამ დებულებაში განსაკუთრებულ კამათს იწვევს მუხლი ადმინისტრაციისა და მილიციის შესახებ.

წარსულ კრებაზე დამფ. კრების დებულების მომხსენებელმა, საარჩევნო კომისიის წევრმა სოც.-დემოკრ. ალ. ლომთათიძემ ბრძანა: ადმინისტრაციას და მილიციას ჩვენ ჩამოვართვით საარჩევნო უფლება, რადგან მათ ეკისრებათ არჩევნების დროს წესიერების დაცვაო.

დღეს კი იურიდიული კომისიის წევრი სოც.-დემოკრატი მელ. რუსია აცხადებს: საარჩევნო უფლება უზენაესი პოლიტიკური უფლებაა, რევოლიუციის მონაპოვარი. თვით კატორღა მისჯილს არ ერთმევა ეს უფლება და რა ნება გვაქვს წავართვათ სისხლით მოპოვებული უფლება ადმინისტრაცია-მილიციასო.

ყველა ფრაქცია გარდა სოც.-დემოკრატებისა—წინააღმდეგია იურიდიული კომისიის შესწორების. წინააღმდეგია სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციაც, რომლის ორატორი ბ. ივ. გობეჩია ჯარის საარჩევნო უფლებას უზომო თავგამოდებით იცავს (მხოლოდ ის იყო ერთად-ერთი დამცველი ჯარის უფლებისა), ხოლო ადმინისტრაცია-მილიციისათვის უფლების აყრას იმდენად აუცილებლად სცნობს, რომ ამბობს: „თვით მათ (ადმ.-მილიციამ) უნდა განაცხადონ უარი საარჩევნო უფლებაზეო“.

ხ. ყ.

კრება იხსნება 12 ს. 50 წ. ნ. ჩხეიძის თავმჯდომარეობით.

შ. ამირეჯიბი კითხულობს საბოლოო ტექსტს ფოსტა ტელეგრაფის ტარიფის კანონ-პროექტისას. ტექსტი მიღებულია.

ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლობა.

შ. მიქელაძე (სამანდატო კომისიის წევრი), პარლამენტმა გადმოსცა სამანდატო კომისიას განსახილველად რუსებისა და ისრაელების მანდატები, რუსთა ეროვნულმა საბჭომ საქართველოს პარლამენტში გამოგზავნა ორი წარმომადგენელი: მ. სმირნოვი და ალ. კალიუგინი. პარლამენტის მიერ მიღებულ კანონის ძალით პარლამენტში შეიძლება არჩეულ იქმნან წევრები ისეთ ეროვნულ საბჭოებისაგან, რომელთა წევრები საქართველოს მოქალაქენი არიან და რომელთა მოქმედებაც მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე ვრცელდება. რუსთა ეროვნული საბჭო კი ამ კანონს ვერ აკმაყოფილებს, რადგან მისი მოქმედება ვრცელდება მთელ ამიერ-კავკასიაზე. მაშასადამე, სმირნოვი და კალიუგინი არაკანონიერად არიან არჩეულნი და საქართველოს პარლამენტის წევრებად შეუძლებელია მათი მიღება. როდესაც რუსთა ეროვნულ საბჭოდან გვწერენ: „ჩვენი წესდების მე-15 მუხლის ძალით ჩვენ გვაქვს უფლება ავირჩიოთ დეპუტატებიო“, ჩვენ მათ უნდა უპასუხოთ, რომ კერძო დაწესებულების წესდება ჩვენთვის სავალდებულო არ არის, ხოლო პარლამენტის მიერ გამოცემული კანონი კი სავალდებულოა ყველა დაწესებულებისათვის, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზეა. ამიტომ სამანდატო კომისიის აზრით სმირნოვი და კალიუგინი პარლამენტის წევრებად არ ჩაითვლებიან.

სამანდატო კომისიის დადგენილებ პარლამენტმა ერთხმად დაადასტურა. მაშასადამე, რუსთა ეროვნულ საბჭოს მიერ გამოგზავნილნი სმირნოვი და კალიუგინი პარლამენტის წევრებად მიღებულნი არ არიან.

ისრაელთა დეპუტატები.

შ. მიქელაძე განაგრძობს: მეორე საკითხი, რომელიც სამანდატო კომისიამ განიხილა, ეს ებრაელთა წარმომადგენლობის საკითხია. მიღებულ კანონის პირველი მუხლის ძალით საქართველოში მცხოვრებ ისრაელებმა პარლამენტში სამი დეპუტატი უნდა გამოგზავნონ: ორი—ქართველმა ისრაელებმა, ხოლო ერთი—დანარჩენმა ისრაელებმა. ჩვენ მოგვივიდა ორი სხვა და სხვა მანდატი: ერთი ებრაელთა ეროვნულ საბჭოს მიერ გაცემული. რომელიც პარლამენტში დეპუტატებად აგზავნის კაკიტელაშვილს, შტრეიხერს და ბაახოვსკს, მეორე—ქართველ ისრაელთა ინტერპარტიული საბჭოსი, ქუთაისის ქართ. ისრაელთა საზოგადოების და სასულიერო მართველობის, რომელსაც აურჩევია ორი წარმომადგენელი—აბრამ იაკობის ძე ბუზიაშვილი და დავარაშვილი. სამანდატო კომისიამ განიხილა ორივე მანდატი: პირველი მანდატი, კომისიის აზრით, არ უნდა იქნეს ცნობილი კანონიერად. ებრაელთა ეროვნულ საბჭოს აურჩევია ყველა სამი წარმომადგენელი იმ დროს, როდესაც არჩევნები ქართველ ისრაელებისა და დანარჩენ ისრაელთა მათ შეეძლოთ შეერთებულიყვნენ, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ ეს შეთანხმებით მოხდება და არავინ განაცხადებდა პროტესტს: პროტესტი კი იყო ებრაელთა ერ. საბჭოს წინააღმდეგ მომხდარ არჩევნების გამო. სამანდატო კომისიამ ერთხმად უარჰყო ეს პირველი მანდატი. რაც შეეხება მეორე მანდატს, კომისიამ იგი სამართლიანად და კანონიერად სცნო შემდეგი მოსაზრებით: ქართველ ისრაელთა ინტერპარტიული საბჭო ყველა პარტიის წარმომადგენლებისაგან შესდგება და იგი სავსებით გამოჰხატავს ქართველ ებრაელთა ნებისყოფას. აგრეთვე დანარჩენი საზოგადოებანიც, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს მეორე მანდატით გამოგზავნილ დეპუტატთა არჩევნებში, ამიტომ, კომისიის აზრით, ბუზიაშვილის და დავარაშვილის არჩევნები კანონიერად უნდა იქნეს ცნობილი.

სამანდატო კომისიის ეს მეორე წინადადებაც პალამენტმა ერთხმად მიიღო.

დამფუძნებელ კრების დებულება.

რუსია. (იურიდიული კომისიის წევრი) იურიდიულმა კომისიამ შესწორებანი შეიტანა დამფუძნებელ კრების დებულებაში: რეგულიარულ ჯარს მიანიჭა პასიური საარჩევნო უფლება და ადმინისტრაციას და მილიციას, რომელთაც მე-5 მუხლის ძალით საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვთ, ეს უფლება მიანიჭა. საარჩევნო უფლება ეს უაღრესი პოლიტიკური უფლებაა, რევოლიუციის მოპოებული. არც ერთს მოქალაქეს სამუდამოდ არ ერთმევა იგი თუ არ მივიღებთ მხედველობაში ჯარს, რომელსაც აქტიური საარჩევნო უფლება ჩამორთმეული აქვს მხოლოდ იმიტომ, რომ იქ ჯერ მტკიცე დისციპლინა არ არსებობს და საარჩევნო კამპანია დიდ დეზორგანიზაციას შეიტანდა ყაზარმებში, და კიდევ ერთს შემთხვევას, როდესაც ვერ შემძლე მოვალეს ერთმევა ეს უფლება. გარდა ამ შემთხვევისა თვით კატორღა მისჯილსაც არ ერთმევა პოლიტიკური უფლება და თუ ჩვენ ადმინისტრაციას და მილიციას ეს უფლება ჩამოვართვით, იმის მომასწავებელი იქნება, რომ მილიციაში შესვლას კატორღაზე უარესად ჩავთვლით. ამიტომ იურიდიული კომისია წინადადებას იძლევა მე-5 მუხლი დებულებისა სრულებით ამოშლილ იქმნას.

ივ. გობეჩია (ს.-რევ.) თავის ვრცელ სიტყვაში მოითხოვს, რომ ჯარს აქტიური საარჩევნო უფლებაც მიეცეს. „ეს უფლება ამბობს ორატორი—მოპოებულია დემოკრატიის სისხლით და დემოკრატია ვერ მოითმენს შელახულ იქმნას მოქალაქის ეს უაღრესი უფლებაო“. რაც შეეხება ადმინისტრაციასა და მილიციას ორატორი მოითხოვს ეს მუხლი დატოვებულ იქმნას იმ სახით, როგორიც საირჩევნო კომისიამ წარმოადგინა.

რ. გაბაშვილი (დამოუკ. ნ.-დ.) როდესაც მე მოვისმინე ლომთათიძე, ვფიქრობდი, რომ ეს იყო აზრი სოც.-დემოკრატებისა, ვფიქრე, მადლობა ღმერთს ზოგიერთ საკითხში სოც.-დემ გონს მოსულა. რუსიას გამოსვლამ კი დამარწმუნა რომ ის მხოლოდ ლომთათიძის პირადი გამოსვლა ყოფილა არც ერთს ქვეყანაში არაა, რომ ჯარი მონაწილეობას იღებდეს არჩევნებში ჯარი—ეს ის ძალაა რომელიც თუ გაჰყვება რომელიმე პოლიტიკურ მიმართულებას, ისეთ მდგომარეობას დაამყარებს, რომ შეუძლებელია იმ სახელმწიფოში გაიმარჯვოს რომელიმე სხვა მიმართულებამ რუსიამ ბრძანა ადმინისტრაციას და მილიციას უნდა მიენიჭოს საარჩევნო უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში იქ არავინ შევა სამსახურში, რადგან იქ შესვლა კატორღაში გაგზავნაზე უფრო სასტიკ სასჯელად იქნება მიჩნეული. ეს ბ—ნ ცალიერი ლაპარაკია. თქვენ ეს უფლება არ უნდა მიანიჭოთ მილიციას. თუ გინდათ რომ არჩევნები სამოქალაქო ომად არ გადააქციოთ. ს.-დემოკრატების ვულის წადილი ჩვენ გვესმის. ვისაც უნდა ანიჭებენ, აი, მაგ. ჯარს დროებით სანამ იქ დისციპლინა არ არსებობს, აქტიური საარჩ[illegible] უფლება არა აქვსო ჩვენ სახელმწ[illegible] რომ ყველაფერი დროებითია [illegible] დარწმუნებული ვარ ს.-დემოკრატიაც დროებითია. ს.-დემ. უნდა რომ ყველაფერი დროებითი იყოს ხოლო თავისი მდგომარეობა მუდმივად გახადოს. იმათ უნდათ შექნან ისეთი მდგომარეობა, რომ თუ ს.-დემოკრატები ცხოვრებამ დაამარცხა, იმათ ჰყავდეს ადმინისტრაცია, რომელიც არჩევნებში მონაწილეობით გაამეფებს ანარქიას, რომელიც ქვეყანას დაამხობს. საარჩევნო კომისიებზეც ბრძანებენ პარტიათა წარმომადგენლებს მოიწვევენ და ძალთა განწყობილების მიხედვით შეადგენენ კომისიებს. ბატონებო! ჩვენ კარგად ვიცით რა არის პარტიათა წარმომადგენლების მოწვევა და ძალთა განწყობილების მიხედვით კომისიების შედგენა შარშან ეროვნულ ყრილობის ნახევარს მარჯვენა სექტორი შეადგენდა და იმის მიხედვით ეროვნული საბჭო რომ აირჩიეს, იქ ამ მარჯვენა სექტორს სულ 10 ადგილი დაუთმეს. მეორე საკითხია ჰასაკის საკითხი. ჩვენში 19 წლიანი საკმაოდ მომწიფებულია, რომ პოლიტიკურ მუშაობას გასწევსო. კი, სამხრეთ ქვეყნებში ჰასაკი უფრო დაბალია, მაგრამ ვინ დაამტკიცა, რომ ჩვენში 19 წლიანები საკმაოდ მომწიფებული არიან ჯერ ეხლა მე რომ უსმენ აქ სოციალ-დემოკრატებს, მაგონდება სკოლა. და თუ აქ დავინახავთ 19 წლის ბავშებს, მაშინ პარლამენტი დაემსგავსება საბავშო ბაღს.

შემდეგ, გაბაშვილი ეხება მე-7 მუხლს და მოითხოვს, რომ კანონში გარკვევით იყოს ნათქვამი, რომ მხოლოდ საქართველოს ქვეშევრდომთ აქვთ სარჩევნო უფლება.

არჩ. ჯაჯანაშვილი. ბატონებო! ჩვენი ქვეყანა უახლოვდება იმ დროს, როდესაც მას უმტკიცდება საფუძველი დამშვიდებული ცხოვრებისათვის. ჩვენ დამფუძნებელი კრების წინ ვსდგევართ, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი ერისათვის.

ადგილიდან შესაძლებელია დამფუძნებელმა კრებამ არც კი შესცვალოს მდგომარეობა პარლამენტში, მაგრამ მისი უაღრესი მნიშვნელობა მაინც რჩება. ჩვენ ეხლა ხშირად გვეუბნებიან—ვინ აგირჩიათ თქვენ, ვინ გაგზავნა წევრები პარლამენტში, ეხლანდელი პარლამენტი არ არის ხალხის ნების-ყოფის გამომხატველიო. დამფუძნებელმა კრებამ უნდა შესძლოს ეს, მან უნდა გამოჰხატოს სწორედ ხალხის ნებისყოფა. მაგრამ, თუ გვინდა, რომ დამფუძნებელმა კრებამ თავისი დიდი მნიშვნელობა არ დაჰკარგოს, ძალადობის ნასახიც არ უნდა იყვეს არჩევნებში. ჩვენი, ხალხი ჯერ კიდევ გაწვრთნილი არ არის ამ საქმეში. მას ვერ წარმოუდგენია, რომ იგი აქტიური მონაწილეა არჩევნებში: ეს ჩვენს ხალხს აკლია და დამფ. კრების საარჩევნო კომისიამ უნდა აღმზრდელობით როლი ითამაშოს ამ საქმეში. ადმინისტრაციის თვისება ისეთი არის, რომ თუ ის დაინტერესებულია არჩევნებში, შეუძლებელია ბოროტმოქმედება არ ჩაიდინოს. თუ გინდათ, რომ ხალხის ნებისყოფას თავისუფლება მიეცეს, ეს მუხლი (იურიდიული კომისიის შესწორება) უარყოფილ უნდა იქმნას.

ი. ლორთქიფანიძე. (ნ. დ.) წესრიგისათვის მოითხოვს რომ საერთო მსჯელობის დროს ცალკე მუხლებს არ იხილავდნენ რადგან საკამათო არაფერი საერთო მოსწრებებში, მოითხოვს დებულების მუხლობრივ განხილვას.

თავმჯდომარე. ყოველ ორატორს უფლება აქვს საერთო კამათის დროს ცალკე მუხლებს შეეხოს.

სპ. კედია. (ნ. დ.) დამფუძნებელ კრების უაღრესი მნიშვნელობა აქვს და ამიტომ მისი დებულების შედგენაც დიდის ყურადღებით უნდა მომხდარიყო. კომისიას უნდა ესარგებლა იმ უამრავი ძალით, რომელიც დამფ. კრების შესახებ არსებობს, კომისიას ანგარიში უნდა გაეწია, რომ არსებობს სხვა და სხვა საარჩევნო სისტემა და ამით იდეალური ფორმები სინამდვილესთვის შეეფარდებია ჩვენი დებულება წარმოადგენს იდეალურ საარჩევნო უფლებას. იქ მხოლოდ ერთი ოლქია ნაგულისხმევი მთელი საქართველოსათვის.

ორატორი მოითხოვს, რომ საქართველო რამდენიმე ერთეულად იქმნას გაყოფილი, რომ ყოველ კუთხეს თავისი წარმომადგენელი ჰყავდეს მოჰყავს ამისათვის ის მოსაზრებები, რომელიც კ თუმანიშვილი ავითარებდა „გრუზიას“ ფურცლებზე. ჯარის შესახებ ორატორი ამბობს, რომ იგი მომხრეა. რომ პასიური უფლება ჩამოერთვას ჯარს, ხოლო ვერ ჰხედავს საბუთებს, თუ რატომ უნდა ჩამოერთვას მას აქტიური საარჩევნო უფლება.

რ. არსენიძე. ორი მთავარი დებულებაა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედვას არჩევნებს: ყველა მოქალაქეს უნდა მიეცეს უფლება საარჩევნო და მხოლოდ უკიდურესს, უსაჭიროეს შემთხვევაში უნდა ჩამოვართვათ ეს უფლება (როგორცა ეხლა, მაგ. „ჯარს, სადაც მტკიცე დისციპლინა არ დამყარებულა) და მეორე ის, ყველა მიმდინარეობა უნდა იქმნას გამოხატული. ჩვენ გვინდა რომ მცირე მიმართ. ჰყავდეს დეპუტატი და ამიტომ ერთ ოლქად არის საქართველო გამოცხადებული. თუ საქართველო რამდენიმე ერთეულად გავჰყავით, მცირე მიმდინარეობანი იმდენად ცოტა ხმას მიიღებენ, რომ სრულებით ვერ გაიყვანენ დეპუტატს. რაც შეეხება ადმინისტრაციის, აქ უნდა ვსთქვა, რომ ტყუილა ეშინიანთ ძალადობის. რატომ ავიწყდებათ, რომ არჩევნებისათვის საგანგებო აპარატი გვეყოლება, რომელსაც არავითარი კავშირი არ ექნება ადმინისტრატორებთან, რომელიც მხოლოდ საარჩევნო ყუთებთან მივლენ, რასაკვირველია, იარაღ აყრილნი და კენჭს ჩააგდებენ.

ალ. ლომთათიძე (მომხსენებელი) იცავს კომისიის დადგენილებებს, რომელიც წინა კრებაზე მოახსენა მან პარლამენტს ადმინისტრაციის შესახებ იგი განმარტავს, რომ დადგენილების ეს მუხლი ასე უნდა გავიგოთ: საარჩევნო უფლება ერთმევათ იმ პირთ, რომელნიც აქტიურ მუშაობას ეწევიან არჩევნების დროს.

იწყება დადგენილების მუხლობრივი განხილვა.

პირველი მუხლი ეხება საარჩევნო ოლქს და დეპუტატთა რაოდენობას. სოც.-ფედერალისტები მოითხოვენ, რომ დეპუტატთა რიცხვი 150-მდე იქმნეს გადიდებული (ნაცვლად 130-სა). ნაციონალ-დემოკრატები მოითხოვენ, რომ საქართველო რამოდენიმე საარჩევნო ერთეულად იქმნეს გაყოფილი. ორივე წინადადება უარყოფილია.

კამათს იწვევს აგრეთვე მესამე მუხლი, ჯარის საარჩევნო უფლებას და ჰასაკს რომ ეხება. ჯარის საარჩევნო უფლების შესახები შესწორებანი უარყოფილია, ხოლო ჰასაკი გადიდებულია 20-წლამდე. ამგვარად აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება აქვს ყველა მოქალაქეს, გარდა ჯარში მყოფთა (რომელსაც მხოლოდ პასიური უფლება [illegible]), ვისაც 20 წელი შეუსრულდა.

წინადადება შემოდის კრება შესწყდეს და დამფ. კრების დებულების დანარჩენ მუხლების განსახილველად განსაკუთრებული სხდომა დაინიშნოს ხუთშაბათს დღის 12 ს. წინადადება მიღებულია.

კრება დაიხურა 3 ს. 15 წ.

ომის დეპეშები.

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ბერლინი. ოქტ. 29 სამხედრო ცნობა დასავლეთის ფრონტი. კრონპრინც რუპრეხტის არმია. ლისის დაბლობში, ოლსენიან ჩვენ მოვიგერიეთ მტრის იერიშები. მტრის ძლიერი რაზმები კონდის ჩრდილოეთ დასავლეთით შეეცადა დაეპყრა შელდის აღმოსავლეთი ნაპირი, მაგრამ კონტრიერიშით მტერი მოვიგერიეთ. შელდის სამხრეთით ინგლისელთა ძლიერ რაზმს იერიში მოჰქონდა ჩვენს პოზიციაზე ფამართან. 176 ქვეითი პოლკმა, პოლკ. პრეუსორის მეთაურობით, მტერი მოიგერია და დიდი ზარალი მიაყენა. ამ პოლკთან ერთად თავი ისახელა 37 საარტილერიო პოლკის მე 7 ბატარეამ და 338 ქვეითა ბატარეამ. არ[illegible]თან მტრის იერიში მოვიგერიეთ მტერი განაგრძობს მშვიდობიან დაბების განადგურებას. შელდის დაბლობის აღმოსავლეთით მტერი უშენს ვალენსიენსაც.

გერმანიის კრონპრინცის არმია. უაზის არხის პირდაპირ, ერტრესა და ლეკელის შუა ფრანგების იერიში დავამარცხეთ არტილერიის საშუალებით მცირე რაზმი, რომელიც არხს აქეთ შემოიჭრა, უკუვაქციეთ ჩვენი კონტრ-იერიშით

ჰალვაცის არმია. იპრისა და მაასის შუა დრო გამოშვებითი საარტილერიო ბრძოლაა. ომის უკანასკნელ დროებში ჩამოვაგდეთ მტრის 49 ჰაეროპლანი და 3 ბალონი.

სტამბოლი ოქტომბრის 29-ს დღის აღსანიშნავი ბრძოლა არ ყოფილა.

ბალკანეთის ფრონტი

ალბანეთში ჩვენმა ჯარმა დასცალა ალესი დრინის საზღვართან სიწყნარეა. სერბიაში ჩვენი უკან დახევა უბრძოლველად სწარმოებს. მტერმა პალანკას მიაღწია.

ზავის გარშემო

გერმანიის რადიო. ოქტ. 28. ვაშინგტონში. შვეიცარიის საელჩოში.

გერმანიის მთავრობის დავალებით, ვთხოვთ, ეს ნოტა გადასცეთ ამერიკის შეერთებულ შტატების მთავრობას: „გერმანიის მთავრობამ საგულისხმოდ მიიღო ამერიკის შეერთებულ შტატების პრეზიდენტის პასუხი. პრეზიდენტს მოეხსენება იმ ცვლილებათა შესახებ, რომელიც მოხდა და კვლავაც ხდება გერმანიის კონსტიტუციონურ ცხოვრებაში. სამშვიდობო მოლაპარაკებას უხელმძღვანელებს სახალხო მთავრობა, რომელსაც ფაქტიურადაც და „კონსტიტუციის ძალითაც ხელთუპყრია მთელი სახელმწიფოებრივი ძალა უფლება. მასვე მორჩილებს სამხედრო გამგეობა. ჩვენ ეხლავ მოველით დროებითი მორიგების ჩამოგდებას, რომელიც მიგვიყვანს სამართლიანი ზავის დამყარებამდე იმ სახით, როგორც ეს დასახული აქვს პრეზიდენტ ვილსონს თავის დეკლარაციებში.

ბერლინი ოქტ. 27 1918 წელი. საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარი სოლფი.

ვენა ოქტ 28. საგარეო საქმეთა მინისტრმა გუშინ დაავალა ავსტრო-ჰუნგრეთის სტოკჰოლმელ ელჩს სთხოვოს შვეციის მთავრობას რათა მან გადასცეს შეერთებულ შტატებს ოქტ. 18. ნოტის პასუხად შემდეგი: „პრეზიდენტ ვილსონის მიერ ავსტრო ჰუნგრეთის მიმართ ოქტ. 18. გამოგზავნილ ნოტის პასუხად გაუწყებთ, რომ თანახმა ვართ ვილსონის გადაწყვეტილებაზე დაიწყოს ავსტრო-ჰუნგრეთთან სეპარატიული მოლაპარაკება დროებითი მორიგებისა და ზავის ჩამოგდების შესახებ, ავსტრო-ჰუნგრეთის მთავრობა გაუწყებთ. რომ სავსებით ეთანხმება როგორც წინა, ისე უკანასკნელ ნოტაში ვილსონის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას ავსტრო-ჰუნგრეთის ხალხთა უფლებაზე განსაკუთრებით ჩეხო-სლოვაკებისა და სამხრეთ სლოვიანთა შესახებ. ამ რიგად მას შემდეგ, რაც ავსტრო-ჰუნგრეთმა მიიღო პირობის ყველა მუხლი, რომლისგან დამოკიდებულია ზავსა და დროებითი მორიგებაზე მოლაპარაკების დაწყება ავსტრო ჰუნგრეთის მთავრობის აზრით მოლაპარაკების დაწყებას წინ არაფერი ელობება, ავსტრია-ჰუნგრეთის მთავრო-

ბა მზადაა არ დაუცადოს დანარჩენ მოლაპარაკეთაბა შედეგს და დაიწყოს მოლაპარაკება მოწინააღმდეგე სახელმწიფოებთან დროებითი ზავის ჩამოსაგდებათ ავსტრო-უნგრეთის ყველა ფრონტზე და სთხოვს პრეზიდენტ ვილსონს შესაფერი ზომები მიიღოს.

ლონდონი. ლლოიდ-ჯორჯი და ბალფური საზღვაო და ხმელეთის ოფიცერთა თანხლებით საფრანგეთს გაემგზავრნენ.

სომეხთა შორის

სომეხ-ქართველთა უთანხმოება.

ს. ნაინიდან დაბრუნებულ სომხეთის დიპლომატიურ საელჩოს დელეგაციის წევრთა სიტყვით, კონფლიქტი მშვიდობიან გზით გათავებულად შეიძლება ჩაითვალოს

სამხედრო კურსები.

სომხეთის ლაშქრის უფროსის განკარგულებით ერევანში იხსნება ოფიცერთა 4 თვიანი კურსები. კურსებზე პირველად მიიღება 69 კაცი.

ტყვე ოფიცრები.

ხალილ-ფაშამ სომხეთის დიპლომატიურ წარმომადგენელს ჯამალიანს შეატყობინა, რომ ის სომეხი ტყვე ოფიცრები, ერევანში დაპატიმრებულნი რომ იყვნენ, უკვე განთავისუფლდნენ და ერევანში გაიგზავნენ.

ოსმალეთში უგნებლად გადარჩენილ სომხობის რიცხვი.

თანახმად სარწმუნო წყაროებისა ოსმალეთის სომხობიდან ცოცხალი გადარჩა დაახლოვებით შემდეგი რიცხვი:

1.	კონსტანტინეპოლში	160.000
2.	სმირნაში	80.000
3.	კასტმუნ, ენკიურიში	80.000
4.	ქიოთაპიაში	80.000
5.	ჰალეპპოში	25.000
6.	ბრუსაში (იზმიტ)	20.000
7.	დამასკოში	20.000
8.	ჰამა ჰომსში	20.000
9.	ადანაში	5.000
10.	დერ-ელ-მორში	10 000
11.	აინთაფში	20.000
12.	ბაღდადში	5.000
13.	მოსულში	5.000
	სულ	530.000

(„ჰორიზონი“ 218).

თურქების ბანაკში დაახლოვებით 20.000 სომეხი მხედარი და სხვა და სხვა სამსახურის მოხელეა. (ჰორიზ. 218)

საქართველო და გერმანია.

ჩვენ გვატყობინებენ, რომ ხმა ვითომც გერმანიამ უკვე სცნო საქართველოს დამოუკიდებლობაო, არ მტკიცდება. („ჰორიზონი“, № 218).

მკვლელობა მუხრანში

(დეპეშა)

ოქტომბრის 24-ს ღამით სოფელ მუხრანში ვიღაც ბოროტმოქმედებს თოფით მოუკლავთ ჩვენი ამხანაგი და საზოგადოებაში ცნობილი ვანო სტეფანეშვილი. ხალხი მეტად აღელვებულია ამ მხეცობით.

ახალი ამბავი

◆ **სასწავლებლებში.** სახალხო განათლების მინისტრმა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, გაეხსნას მას 25000 მანეთის კრედიტი საშუალო სატექნიკო სასწავლებლის საჭიროებისათვის.

◆ **თოფები.** სადგურ ხაშურში მილიციონერებმა დაიჭირეს მიმავალი ვაგონი რომელიც თოფებით დატვირთული აღმოჩნდა.

◆ **ოსმალთა ეშელონები.** ადერბეიჯანიდან ოქტომბრის 20-მდე ბათომისაკენ გაიარა შვიდმა ოსმალთა ეშელონმა. ამავე დროს ბათომიდან განჯაში ორი ეშელონი მოვიდა რომელთაც ინსტრუქტორად არაბები მოჰყვნენ.

◆ **იაფი საპონი.** სამრეწველო განყოფილების დავალებით, ინჟინერთა ჯგუფმა ტფილისში დაათვალიერა ხოშტარიას დიდი საპნის ქარხანა, რომელიც წინად სამთო-საინჟინერო დრუჟინას ეკუთვნოდა, აღმოჩნდა, რომ ქარხანა ყოველ დღე 400 ფუთს კაი ღირსების სარეცხის საპონს ამზადებს. და აგრეთვე სატუალეტო საპნის დამზადებაც შეიძლება. ხოშტარიამ მრეწველობის მინისტრთან ხელშეკრულება დასდო, რომლის ძალითაც ამ ქარხნისაგან დამზადებული საპონი აღნიშნულ სამინისტროს 68 მან. 95 კაპ. ეთმობა. მოკლე ხანში ეს საპონი ბაზარზე გაიყიდება გირვანქა 2 მანეთად.

◆ **რევიზია.** შესდგა საგანგებო კომისია, რომელსაც დაევალა დაათვალიეროს აფთიაქები და საფთიაქო მაღაზია-საწყობები ყალბი წამლების აღმოჩენის მიზნით.

◆ **აფთიაქები** შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებული სამედიცინო და სასანიტარო განყოფილებამ შუამდგომლობა აღძრა, რათა მოიხსნას ტფილისში აფთიაქების მორიგეობა და ყველა აფთიაქი ამუშავდეს რადგან ტფილისში ამ ჟამად სხვა და სხვა ავადმყოფობაა გავრცელებული და მცხოვრებთ საშუალება არა აქვთ თავის დროზე მიიღონ წამლები.

◆ **სავადმყოფოთ შენახვა.** სამედიკო და სასანიტარო საზოგადოების თავმჯდომარემ ექიმმა ზანდუკელმა მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რათა გადიდებულ იქმნას 2 მილიონი და 700000 მანეთი ტფილისის მიხეილის სახელობის საავადმყოფოს, საეპიდემიო სამკურნალოს, საბებიო ინსტიტუტის და სხვა საავადმყოფოთა შესანახ ხარჯებისათვის

ახალი ქარხანა. ტფილისში დაარსდა ახალი საქიმიო ქარხანა, რომელიც ამზადებს შაბიამანს, ნიშადურს, სხვა და სხვა საღებავებსა და სიმჟავეებს.

◆ **ნავთლუღის საჰაერო სკოლა.** სამხედრო მინისტრმა დაათვალიერა ნავთლუღის საჰაერო სკოლა, სადაც ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა. სამხედრო მინისტრი კმაყოფილი დარჩა და მადლობა გამოუცხადა სკოლის ყველა ხელმძღვანელს და ჯარის კაცებს

◆ **ახალი ანგარი.** სადგურ რიონზე შენდება ახალი საავიაციო ანგარი საჰაერო როტისათვის.

◆ **საკულტურო საქმეები საქართველოს ჯარში.** სამხედრო მინისტრის განკარგულებით შესდგა ახალი კომისია რომელსაც დავალებული აქვს საქართველოს ჯარში მოაწყოს სხვა და სხვა საკულტურო საქმეები, გახსნას სამკითხველოები და სხვა.

◆ **ჯარის დათვალიერება** ოქტომბრის 27-ს, საქართველოს ჯარის მთავარსარდალმა გენ. გედევანიშვილმა სამხედრო მრჩეველის გრაფ ვოლფსკეს და ცხენოსან ბრიგადის უფროსის გენ. ერისთავის თანხლებით დაათვალიერა ცხენოსანი ბატარეია მუხრივანში. მთავარსარდლის ბრძანებით, გაიმართა სამხედრო ვარჯიშობა ქვეითი, ზარბაზნებთან და ცხენებზე. ვარჯიშობის შემდეგ, გენ. გედევანიშვილმა თავისი ამალით, დაათვალიერა ბატარეის ყაზარმები. საწყობები და საავადმყოფო, რითაც მეტად კმაყოფილი დარჩა, რის გამო მთავარ-სარდალმა მადლობა გამოუცხადა ცხენოსან ბატარეის უფროსს პოდ. ცაგურიას და ოფიცრებს.

◆ **ექ. ალექსიძის გაჩხრეკის** გამო ჩვენს გაზეთში შეცდომით იყო მოხსენებული, რომ იპოვეს ხახაზინო მედიკამენტები. ნამდვილად კი თუმცა ექ. ალექსიძე გაჩხრიკა შეცდომით საგანგებო რაზმმა, მაგრამ არაფერი არ აღმოუჩენია ისეთი, რაც მის სახელს რაიმე ჩირქსა სცხებდეს.

◆ **შუამდგომლობა** განათლების მინისტრს გადაწყვეტილი აქვს მთავრობის წინაშე აღძრას შუამდგომლობა, რათა იმ რუს მასწავლებლებს, რომელნიც ძველი რეჟიმის დროს „კავკასიურ ხუთწლიურ დამატებას“ იღებდნენ მოესპოთ ასეთი „დახმარებანი“ და სხვა მასწავლებელთ გაუთანაბრდნენ.

◆ **სამაზრო ერობათა ყრილობა** ქუთაისისა და ახალ სენაკის სამაზრო ერობათა ინიციატივით ტფილისში შესდგება საქართველოს სამაზრო ერობათა ყრილობა.

◆ **სანაპირო სადარაჯოები** სამხედრო მინისტრის ბრძანებით, საქართველოს სამხედრო გზაზე მყოფი ყველა რაზმი და საყარაულო დაექვემდებარა სანაპირო სადარაჯოს უფროსს.

◆ **ახალციხისა და ახალქალაქის**, გენერალ-გუბერნატორს დაექვემდებარა ბორჯომის რაიონის სანაპირო სადარაჯოები.

საქ. სოც.-ფედ. სარევ. პარტიაში

კრება ნ. ძალადევში. პარასკევს ნოემბრის 1-ს საღამოს 7 საათზე დანიშნულია ნაძალადევში მცხოვრებ ამხ. კრება. მოხსენებას წაიკითხავს ამხ. შალვა ნუცუბიძე.

—

იარაღის ნებართვა. საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მებრძოლთა რაზმის საბჭო აცხადებს თავისი რაზმელთა საყურადღებოდ, რომ იარაღის ტარების მოწმობები მიცემული საბჭოს მიერ ოქტომბრის 8-დან გაუქმებულია. ახალის მიღება შეიძლება პარტიულ ბიუროში საბჭოს კანცელარიაში 6 საათ. 9 საათ. ხოლო კვირას 11 საათ. 2 საათამდი.

პარლამენტის გარშემო

არაჩვეულებრივი კრება.

დღეს, ოქტომბრის 31-ს, დღის 12 საათზე შესდგება საქართველოს პარლამენტის არაჩვეულებრივი სხდომა. განსახილველია დებულება დამფუძნებელ კრების არჩევნებისა.

დაჩაგრულნი და „დაჩაგრულნი“

განათლების სამინისტროს მადლიერი არავინა ჰყავს: ქართველები სჩივიან, დაიჩაგრნენ ჩვენი შვილები ქართულ გიმნაზიებშიო; არა ქართველთ ხომ ყურთა სმენა წაიღეს,—გვიშველით, დავიჩაგრენითო!.

მართლა და საინტერესოა,—ვინ დაიჩაგრა?

გადავავლოთ თვალი ერთ ერთ „ქართულ“ გიმნაზიას, თუნდ ქალთა პირველ გიმნაზიას, როგორც ტიპიურ მოვლენას...

პირველად ყოვლისა გარეგნული შთაბეჭდილება: ყველგან რუსული წარწერები, კედლები აჭრელებული რუსული განცხადებებით, გიმნაზიის ადმინისტრაციის განკარგულებებით... რუსული ენა, რუსული ასო ყველგან და ყოველი მხრით... აქა-იქ მოჰკრავთ ყურს ქართულ სიტყვასაც, მაგრამ ცხადად ჰგრძნობთ, რომ ეს ისე—ნაძალადევი ცულლუტობაა, სხვა არაფერი!..

ამ „ქართულ“ გიმნაზიაში წლის დასაწყისს გადახდილ იქმნა პარაკლისი სლავიანურ ენაზე; შერეულ კლასებში გაკვეთილების დროს ლოცვები იკითხება, სლავიანურ ენაზე და სხვა და სხვა...

შეიძლება მკითხონ: ვითომ და რად უნდა იყოს ქართული წარწერები, ქართული ენა, ქართული პარაკლისი, ლოცვა, როდესაც იქ მარტო ქართველები არ სწავლობენო?

რომ ქართველი არ ვიყო, უპასუხებდი: იმიტომ, რომ სცხოვრობთ საქართველოს რესპუბლიკაში, სწავლობთ ქართულ გიმნაზიაში,—ხომ გახსოვთ რუდოლფ-სლოვინსკის პასუხი!,

მაგრამ მე ქართველი ვარ და ასეთ პასუხს არ ვკადრებ; მხოლოდ შეკითხვაზე შეკითხვას დავუბრუნებ: ვინ არის ამ „ქართულ“ გიმნაზიაში დაჩაგრული,—ქართველი თუ არა ქართველი?

ეს ერთი..

ქვევით: ამ „ქართულ“ გიმნაზიაში არის რუსული **ცხრამეტი** კლასი და ქართული **ექვსი**; ამ რიგად, „ქართულ“ გიმნაზიაში **არ არის არც ერთი არა ქართველი, რომელსაც არ ჰქონდეს თავისი ნაციონალური კლასი**; მაგრამ მეხუთე კლასიდან მოყოლებული არც ერთ **ქართველს არა აქვს ეროვნული განყოფილება.**

შეიძლება მკითხონ: ვითომ და რად უნდა იყვნენ არა ქართველნი მოკლებულნი ეროვნულ გიმნაზიას?

რომ ქართველი არ ვიყო, უპასუხებდი.. ხომ გახსოვთ რუდოლფ-სლოვინსკების პასუხი..

მაგრამ მე ქართველი ვარ და ასეთ პასუხს არ ვკადრებ; მხოლოდ შეკითხვაზე შეკითხვას დავუბრუნებ: ვინ არის „ქართულ“ გიმნაზიაში დაჩაგრული?

ეს ორი...

საზოგადოებრივი აზრი ითხოვდა, რომ ეროვნული გიმნაზიების შესაქმნელად მოწაფეთა გადაჯგუფება მაინც მომხდარიყო; ეს რჩევა სამინისტრომ არ შეიწყნარა. ვინ იცის, იქნება საბუთი ჰქონდა ისეთი და არც ჩვენ გამოვეკიდებით... მაგრამ რატომ გიმნაზიებში, სადაც მრავალ რიცხოვანობის გამო კლასები დაყოფილია პარალელებად,—რატომ ეს დაყოფა მაინც არ მოხდა მოწაფეთა ეროვნულ შემადგენლობის მიხედვით?

„დახე, ჩინური ქუდლითა ჰსურს შემოფარგლოს“ ქართველი მოწაფეები არა ქართველთაგანო!

არა,—ამას მოითხოვს საქმის ინტერესი: უმაღლეს ოთხ კლასში ქართველთა და არა ქართველთა ერთად მეცადინეობა წესიერი მეცადინეობა—შეუძლებელია! საზოგადო პროგრამების გარეშე ქართველებს აქვთ კიდევ ნაციონალური საგნები: რანაირ დ უნდა შესდგეს საზოგადო ცხრილი გაკვეთილებისა და რანაირად უნდა სწარმოებდეს ამ დომხალივით არეულ კლასებში წესიერი მეცადინეობა?! თუ ქართული ნაციონალური საგნები საზოგადო ცხრილში შეტანილ იქმნები ნ პირველ, მეორე, ან მესამე გაკვეთილებად, მაშინ არა ქართველთ უხდებათ დროს დაკარგვა და ცდა, ვიდრე ქართველები მორჩებიან თავიანთ პირველ, მეორე ან მესამე გაკვეთილს; ამ შეუწყნარებელი მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად ქართული საგნები უნდა გადატანილ იქმნენ უკანასკნელ გაკვეთილებზე და ეს ასეც მოხდა.

შეიძლება გვკითხონ: ვითომ და რად უნდა დაეთმოს ქართულ საგნებს პირველი გაკვეთილებიო?

რომ ქართველი არ ვიყო, უპასუხებდი.. ხომ გახსოვთ რუდოლფ-სლოვინსკების პასუხი!..

მაგრამ მე ქართველი ვარ და ასეთ პასუხს არ ვკადრებ; მხოლოდ შეკითხვაზე შეკითხვას დავუბრუნებ: ვინ არის „ქართულ“ გიმნაზიაში დაჩაგრული?

ეს სამი..

მეხუთე კლასიდან მოყოლებული ამ „ქართულ“ გიმნაზიაში უცვლელად დარჩა ძველი პროგრამები, ძველი მეთოდები, როგორც არა ქართველებისათვის, ისე ქართველებისთვის. მოგეხსენებათ, რომ ძველი რუსეთის მთავრობა ლოცვასაც კი არ შეუშვებდა სკოლაში, თუ „პატრიოტული“ გრძნობით არ იყო შეკავებული, და ღმერთიც იმდენად იყო მიღებული, რამდენადაც მას ჰპატიოებდა, „За Царя—за Св. Русь“... ესეთივე „ურა—პატრიოტული“ ისტორია, გეოგრაფია, ლიტერატურა და ყოველი ეს დღესაც უცვლელად დარჩა საქართველოს რესპუბლიკის „ქართულ“ გიმნაზიებში!

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად ვაცხადებ: მიყვარს რუსული ენა, შევტრფი რუსულ ლიტერატურას, ხელოვნებას, მაგრამ აქ ლაპარაკია იმ „რუსულზე“ საზოგადოდ, რომელიც შეთხზული იყო ძველი რუსეთის მთავრობისგან თავისი და ჩვენი სკოლებისათვის.

დაბალ კლასებში ჩვენმა ბავშვებმა უკვე გაიარეს რუსეთის მოკლე ისტორია, რაღა საჭიროა, რომ მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კლასში კიდევ არ ითქვიფონ თავები რუსული ისტორიის სქელი წიგნებით! მით უფრო, რომ თვითმპყრობელობის რუსებმა თითონაც არ იციან თავიანთი ნამდვილი ისტორია! ნუ თუ ჩვენს ახალთაობას არაფერი აქვს სასწავლი, რომ ცხრა კონცენტრად არ უბრუნდნენ მონომახების ქუდებს და კიევ-პეჩერის ლავრებს?!.

რუსული ლიტერატურა! დიახ, მშვენიერია რუსული ლიტერატურა. მაგრამ რა შუაშია ილია მურომეცის და ალიოშა პაპოვიჩის ბილინები?!. განა შესაწყნარებელია, რომ ჩვენი 13—14 წლის ბავშვები კვირაობით და თვეობით იზეპირებდნენ

Ах же ты, Илья Муромец, крестьянскій сын!“ ეს უკვე არამც თუ ნაციონალური—პედაგოგიური საკითხია!

შეიძლება გვკითხონ: რა თქვენი საქმეა, რასაც ვასწავლით, ან რად უნდა შევცვალოთ კიევ-პეჩერის ლავრა ქართული მონასტრებითო?

რომ ქართველი არ ვიყო, უპასუხებდი... ხომ გახსოვთ რუდოლფ-სლოვინსკების პასუხი..

მაგრამ მე ქართველი ვარ და ასეთ პასუხს არ ვკადრებ; მხოლოდ შეკითხვაზე შეკითხვას დავუბრუნებ: ვინ არის „ქართულ“ გიმნაზიაში დაჩაგრული?

ვკითხავ კიდევ შემდეგს: თუ ეს „ქართული“ გიმნაზიები არსებითად ნამდვილი რუსულია, ნუ თუ საქართველოს რესპუბლიკაში თავის შესაქცევად მაინც არ დაგვითმობენ მხოლოდ სახელწოდებას—„ქართული“?!

ნ. შიუკაშვილი.

სომეხთა თავდასხმა ბორჩალოში

საქართველოს სომხებისათვის თუმცა არა დაუშავებია რა, მაგრამ მათაც დრო შეგვირჩიეს და ქურდულად თავს დაგვეცნენ. აღშფოთება მით უფრო დიდია ჩვენში, რომ სომეხთაგან ქართველთადმი ასეთი საქციელი სრულიად მოულოდნელი და დაუმსახურებელია, მით უმეტეს, რომ გასაყოფი და სადაო ჩვენს შორის არა მგონია რომ იყოს რამე.

მკითხველებს მოეხსენებათ, რომ ბორჩალოს მაზრიდან ოსმალთა განდევნის შემდეგ დროებით ნეიტრალ ხაზად დატოვებული იყო ადგილები მდინარე კამენკას იქით სადგურ შაგალამდე ასე 12—13 ვერსის მანძილზე. სადგურ კალაგერანსა და ბაქან ქობერს შუა მდ. დებედა-ჩაიზე გადებულია ხიდი ტფილისიდან მე-117 ვერსზე. აი ეს ხიდი იყო უკანასკნელი წერტილი ქართველთა მფლობელობისა, ხოლო როცა ოსმალნი იქიდან წავიდნენ უნდა აღდგენილიყო ბუნებრივი საზღვარი სადგურ შაგალის იქით, სადაც თავდება საზღვარი ტფილისის გუბერნიისა ოსმალთა იმპერიალისტურ საღერღელს ნიადაგი მსოფლიო ომის წარმოების დროსვე ეცლება, იგინი სტოვებენ ჩვენში ძალადობით დაკავებულ ადგილებს და მაშასადამე ჩვენს მთავრობას უნდა აღედგინა ბუნებრივი ჩვენი სამშობლოს საზღვრები. მოხდა გასაოცარი ამბავი. ოსმალოების როლში სომხები ჩადგნენ და მათ დაიკავეს ის ადგილები, რომელნიც დროებით ოსმალთა ხელში იყო; მაგრამ საკვირველ არიან უფალო საქმენი შენნი. სომხები აესაც არ დაჯერებულან. 17 ოქტომბერს ნეიტრალური ხაზიდან [illegible] შორის წამოუწევიათ და რკინის გზის ლიანდაგზე დაუკავებიათ ბაქანი ქობერი, ხოლო მდ. დებედა ჩაის გაღმა სოფელი კორინჯი და მის გასწვრივ ადგილები. და გამოღმა გამოსცილებიან მდ. კამენკას და სოფელ წათერნი დაუკავებიათ.

ოქტომბრის 18 ს სადგურ სანაინში ჩვენი დამოჯნის უფროსს ზაქარია თუშ-აბრამაშვილს ქობერის სადგურიდან ამბავი მოსვლია: საზღვარი გადმოლახეს სომხებმა და აქედან გვითხოვენ: აიყარენით და აქედან მოშორდითო (განაცემო) ადგილობრივ საქმის ვითარების შესამოწმებელ-გამოსარკვევად წასულან სანაინის კომენდანტი ბ-ნი ბენე, დამოჯნის უფროსი ზაქ. თუშ-აბრამაშვილი და ექიმი იაკობ ცხვედაძე გვირაბის იქით ექვსი ვერსის გადმოლახვით სომხებს ჩვენების მატარებელი გაუჩერებიათ. ზ. თუშ-აბრამაშვილისა და ბენეს შეკითხვაზე—რათ მოდიხართ ჩვენს ტერიტორიაზე, რათ დაიკავეთ ჩვენი ადგილებიო წინ წამომდგარა სომეხთა ჯარის ნაწილის მეთაური ოფიცერი და განუცხადებია:

— ჩვენ ბრძანება გვაქ ს ჩვენის მთავრობისაგან ალავერდი დავიკავოთ და შემდეგ სადგურ აშაგი-სერალამდე გიახლებითო. ისტორიულად და მოსახლეობითაც ბორჩალოს მაზრა მდინარე ხრამამდე ჩვენ გვეკუთვნისო და ქართველები მდ. ხრამს იქით უნდა გადახვიდეთო. იმავე დღეს ეს ამბავი სასწრაფოდ ჩვენს მთავრობას ეცნობა. საიდანაც განკარგულებისამებრ 20 ოქტომბერს ილევის სისწრაფით გაჩნდა სადგურ სანაინში ჯავშნოსან მატარებლების უფროსი ბ-ნი ვლად. გოგუაძე ორის ჯავშნოსანით აქ საქმის ვითარების გამორკვევის შემდეგ ვლად გოგუაძე პირდაპირ წასულა მატარებლით. 8 ვერსის მანძილზე წამოწეულ სომხის ჯარის ნაწილებს რომ შეუტყვიათ ჯავშნოსანის მოახლოვება რკინის გზის ლიანდაგის გაყოლება მდ. დებედა ჩაის ხეობაში ყველა დაჭერილი ადგილები მიუტოვებიათ, დაუცლიათ სადგური ქობერი და მე-117 ვერსის ხიდზე გამაგრებულან. ბ-ნი გოგუაძის ჯავშნოსანი ხიდის აქეთ მდგარ სომხებს პირდაპირ მისდგომია და მოუთხოვნია მეთაური ოფიცერი როდესაც რაზმის უფროსს ბ-ნი გოგუაძე შეეკითხეია, თუ რა უფლების ძალით გადმოლახეს სომხებმა საზღვარი და იკავებენ საქართველოს ტერიტორიას უპასუხნია: „პო ნე დორაზუმენიუ“ გადმოვედითო. ჯავშნოსანთა უფროსს „ნედორაზუმენიის“ გამოსწორება და მათ სადგომ ადგილზე გადასვლა მოუთხოვნია. სომხებს ყოყმანის შემდეგ განუცხადებიათ: ჩვენ თქვენს მოთხოვნილებას ვერ შევასრულებთ, რადგანაც ჩვენის მთავრობისაგან ნაბრძანები გვაქვს ამ ადგილების დაკავებადა აქ გამაგრებაო.

სად არის თქვენში ლოგიკა, უთქვამს ვლ. გოგუაძეს როდისა ხართ მართალი, როცა ამბობთ „პო ნე დორაზუმენიით“ გადმოსვლას და ჩვენი ადგილების დაკავებას თუ მაშინ, როდესაც თქვენის მთავრობის ბრძანებას აფარებთ თავს და თქვენს მოქმედებას თქვენი მთავრობის განკარგულებით ამართლებთო. მე ნაბრძანები მაქვს ჩემის მთავრობისაგან ჩვენი ტერიტორია გავსწმინდო და თუ თქვენ ჩემს მოთხოვნილებას არ შეასრულებთ, იძულებული ვიქნები ჩვენი უფლება ძალით აღვადგინოვო. ამის შემდეგ სომხებს უკადრებიათ და გასულან ხიდს გაღმა თავიანთ სადარაჯო ხაზისაკენ. ოფიცერს ტომით რუსს, სხვათა შორის უთქვამს: მე ნეიტრალი ვარ, არც ქართველი ვარ, არც სომეხი, და ჩემის რაზმით გადავალ აქედანაო. როგორც გადმოგვცეს სომხებს ეს ოფიცერი ამისათვის სამხედრო სასამართლოს პასუხისგებაში მიუციათ.

თუმცა სომხებმა ეს ადგილები დასცალეს, მდინარის ხეობის მაღლა ორივე მხრით კორინჯსა და წათერს მოადგნენ ორი სოფლის გასწვრივ ადგილები ხელში ჩაიგდეს, აიძულეს ამ სოფლებიდან ჩვენი მოდარაჯენი გამოსულიყვნენ, დაიკავეს ორივე სოფელი და განაგრძობდნენ მზვერავთა რაზმების სახით წინ სვლას.

მალე ადგილობრივ რესპუბლიკის მთავარ შტაბის უფროსი პოლკოვნიკი ზაქარიაძე ჩამოვიდა; მთავრობის განკარგულებით მაზრაში სამხედრო წესები გამოაცხადა და ოქტომბრის 4-დან მოუწოდა მაზრის მცხოვრებთ წესიერება დაეცვათ. მაზრის გენერალ-გუბერნატორად გენერალი გიორგი წულუკიძე დაინიშნა და მასვე მიენდო მომქმედ ჯარების სარდლობა. ოქტ. 25 სარდალი წულუკიძე უკვე სანაინში მოვიდა სათანადო ძალებით და შეუდგა თანამდებობის ასრულებას.

მთავრობის ცნობიდან მკითხველებმა უკვე იციან, რომ ჩვენი რესპუბლიკისა და სომხეთის მთავრობას შორის თითქოს შეთანხმება მოხდა, რომლის ძალითაც არც სომხებს და არც ქართველებს ძალით არ უნდა გადაელახათ საზღვარი, ვიდრე მშვიდობიანი გზით არ გადაწყდება გამიჯვნის საკითხი ეს უნდა სცოდნოდათ სომხის ჯარის უფროსებს. მაგრამ ადგილობრივ რომ გაითვალისწინოთ თუ სად, რომელ ადგილებში და რა სიშორეზე ღრმად შემოვიდნენ გუბერნიაში სომხები, იტყვით, რომ ამაზე მეტი თავხედური მოქმედება აღარ შეიძლება. სომხების მხრივ მაგალითად, როგორც ირკვევა საზღვრების შესწორების სურვილი და დანიშნულ ხაზის სადარაჯოდ გამოსვლა კი არ არის, არა-

მედ მათ მოქმედინარეობას ჩვენსკენ პირდაპირ სამხედრო მოქმედების და გავლილ ადგილების დაპყრობის ხასიათი აქვს. პირველ ხანებში ჩვენები რომ სანაინში ჩამოვიდნენ. ქართველური გულმართლობა და გულუბრყვილობა დაეტყოთ. მათ არ სჯეროდათ, თუ სომხები ასე მოულოდნელად, წინასწარ თავიანთ პრეტენზიების ჩვენის მთავრობისადმი გადმოუცემლად, წინ მსვლელობას გაბედავდნენ. აი ამისი მიზეზი უნდა იყოს რომ ჩვენებმა სოფ. შენიხში სომეხ მხედრაზმებისა თუ სხვა ძალების შესვლა შემთხვევით გაიგეს. სოფელი შენიხი ჩვენის საზღვრებიდან სად. შაგალის მხრივ 45 ვერსის მეტ მანძილზე მდებარეობს სადგ. სადახლოსა და აირუმს შუა. ერევნიდან დელიჯანზე ყაზახის მაზრაში გზატკეცილი ამოდის. ქალაქ ყაზახის გასწვრივ სადგურ აირუმიდან ამ გზატკეცილს საურმე გზა უერთდება. აირუმიდან სულ რამდენიმე ვერსის მანძილზე მდებარეობს შენიხი და სხვა სოფლები. სითამამე სომეხთა ჯარის ნაწილისა იქამდე უნდა იყოს მიღწეული რომ მათ სანაინისთვის შემოუვლიათ ყაზახის მაზრის მხრიდან 25 ვერსის მეტი მანძილი. როდესაც სანაინში სომეხთა წარმომადგენელმა არზუმანოვმა ჩამოიარა და მას შტაბის უფროსმა პოლკოვნიკმა ზაქარიაძემ დაუსურათა სომეხთა ჯარების განსაცვიფრებელი საქციელი, სხვათა შორის ბ-ნ არზუმანოვს უთქვამს: სოფ. შენიხიდან რაზმი უკვე გავიყვანეთო, ეს მოხდა ოქტომბრის 24

ოქტომბრის 25 სარდალმა გ. წულუკიძემ ჯავშნოსანის უფროს ვლ. გოგუაძეს დაავალა პირადად დარწმუნებულიყო, სომხები მართლა ასე შორიდან გვივლიდნენ და რა ძალა ჰყავდათ მათ შენიხში. ბ-ნ გოგუაძე სანაინიდან დაბრუნდა ჩვენსკენ დავალების შესასრულებლად. სად. ალავერდში მან შეიერთა ალავერდის მცველ რაზმის უფროსი შტაბს-კაპ. გიორგი უფარაძე, სასწრაფოდ ამოიარა სადგურები ახპატი, ახტალა და აირუმი. სოფელ შენიხის პირდაპირ ჯავშნოსანი გაჩერდა. ბ-ნმა გოგუაძემ გაიცნო ადგილ-მდებარეობა და შენიხში ამბის შესამოწმებლად ოფიცრების უფარაძისა და კვინიტაძის მეთაურობით მცირე რაზმი გაგზავნა. რაზმი ორად გაიყო. ერთი ნაწილი უფარაძის ხელმძღვანელობით ჩრდილოეთისა, ხოლო მეორე კვინიტაძის—სამხრეთიდან გაეშურენ სოფლისაკენ მზვერავების სიფრთხილით. მცირე რაზმი ის იყო სოფელში უნდა ასულიყო, სამხრეთიდან ხევში ტყე-ტყე უკანიდან სომხებს შემოევლოთ და სროლა აუტეხნიათ. ვლ. გოგუაძემ მსწრაფლ ბრძანება მისცა ჯავშნოსანის რაზმს, მათაც მოიმარჯვეს ჯავშნოსანი და მეტი გზა არ იყო უნდა დაესაჯათ სოფლის ის ნაწილი, საიდანაც კურდღლის სიფრთხილით და მელური შემპარაობით გამოძვრა შეიარაღებულ რაზმი და ჩვენებს უკანიდან აუტეხა სროლა. ჯავშნოსანმა მეჭექარედ უპასუხა თავხედ ბრბოს, რომელიც 40 წუთის სროლის შემდეგ სადღაც ხევებსა და ტყეებში გადაიფანტა. მალე სოფლიდან გამოჩნდა თეთრი ბაირაღი და სოფელმა წარმომადგენელი გამოუგზავნა ბ-ნს გოგუაძეს. წარმომადგენელნი შეევედრნენ ბ-ნ გოგუაძეს, შეეწყვიტა სამხედრო მოქმედება, რადგანაც ჩვენ სოფლელები აქ არასფერს შუაში არა ვართო. ჩვენ ვიცით თქვენი პირადად და საერთოდ ქართველების ამაგი ჩვენზე, ქართველობამ ათი-ათასობით დაგვიფარა თათართა შემოსევა-განადგურებისაგან და რა ნამუსი იქნება ჩვენგან, რომ ქართველების საწინააღმდეგოდ გამოვიდეთო. თუ აწი აქ სომეხთა რაზმები გაჩნდებიან, ჩვენ ვეცდებით საკუთარი ძალით შეუტიოთ და აქედან გავდევნოთო. სადგურ აირუმიდან ამ რამდენიმე ხნის წინად ტფილისიდან მოტანილი დიდძალი სამხედრო მასალა და იარაღები გადაუტანიათ და ყაზახ-დილიჯანის გზით ერევნისაკენ გაუგზავნიათ. გადმოგვცეს, ტფილისიდან ჰქონდათ მათ ნებართვაო.

ოქტომბრის 22—23 განმავლობაში სადგურის დუქანში შენიხის მხრიდან ჩამოსულან სხვა და სხვა დროს შვიდ-შვიდი კაცისაგან შემდგარი შეიარაღებული რაზმები. აქვე გადმოგვცეს, რომ ერევნიდან ვიღაც მოხელე მოსულა, სდომებია აირუმში სადამოჯნოს გამართვა და როდესაც შეუტყვია ქართველთა ჯარის ჩამოსვლა, მაშინვე აბარგულა.

ქაქუჩელა.

(დასასრული იქნება)

ბაქოს ტრაგედია და ქართველების დიდი კაცთმოყვარეობა.

გაზეთი „ჰორიზონი“ (№ 210) მოწინავე წერილში: „გრძნობიერი მომენტები“ შემდეგსა სწერს:

„სომხის ერი და მისი ორგანოები არას დროს ხელიდან არ უშვებდნენ შემთხვევას განსაკუთრებულის სიამოვნებით აღენიშნათ მოძმე ქართველი დემოკრატიის და მისი ორგანოების მხრით გამოჩენილი თანაგრძნობა, როცა სომხობა დიდ მწუხარებას განიცდიდა, და ამნაირ ფაქტებს უკეთესი მომავალი ურთიერთობის საწინდრად აღიარებდნენ. ამის დამამტკიცებელი საბუთია ის გარემოება, თუ რაზომ ვაჟასებდით და მვირფასად მიგვაჩნდა მეზობელ დემოკრატებთან სოლიდარობა და მეგობრობა იმისდა მიუხედავად, რომ ჩვენ ბევრჯერ სამართლიან, შეიძლება სასტიკ, კრიტიკის ქარცეცხლში გაგვიტარებია ქართველი დემოკრატიის მმართველი წრეების მრავალი მსხვილი შეცდომა და ბრალდასადები მოპყრობა ჩვენი დევნული ერის ბედისადმი.

ამ ჟამად გვინდა მიუთითოთ მკითხველს ერთი ორ ნათელ წერტილზე, რომელთაც სანუგეშო მნიშვნელობა აქვსთ ჩვენთვის ამ მწუხარებით აღსავსე დღეებში.

ბაქოს ტრაგედია სომხობის დღევანდელი ცხოვრების დემონური კოშმარია, მისი გლოვის ახალი მიზეზი რომლისგან განკურნება კაი ხანს კიდევ შეუძლებელია მაგრამ ამ საერთო მწუხარების დროსაც სომხური საზოგადოება და სომხური პრესა აღნიშნავენ როგორც განსაკუთრებულ სანუგეშო მოვლენას იმ გულის ამჩუყებელ ფაქტს, რომ ბაქოს შავი დღეების განმავლობაში ბევრმა ქართველმა მიუხედავად თავის თავის საფრთხეში ჩაგდებისა, დახმარება გაუწია სომხებს და მრავალ სომეხ დედაკაცის, ბავშის, მოხუცის და უმწეოს სიცოცხლე სიკვდილის კლანჭებიდან იხსნეს.

ასე მაგალითად, თვითმხილველის გადმოცემით ერთმა ქართველმა მეფუნდუკემ, გვარად ჩიკალიძემ შესძლო 560 სომეხი გაენთავისუფლებია თურქთა ბრბოს კლანჭებიდან როცა ამის გამო მის სიცოცხლესაც საფრთხე ელოდა. ასევე იქცეოდნენ ბევრი სხვა ქართველებიც თანახმად საერთო მოწმობისა.

როგორ არ აგიჩუყდეს გული და ცოტა მაინც არ ინუგეშო ჩვენი დიდი გლოვის დროს, როცა გამხეცებულ ადამიანთა ჯოგის გვერდით ასეთ ნათელ პიროვნებათ, კაცთმოყვარეობის ასეთ დიად ფაქტებს ხედავთ? და როგორ შეიძლება თვითმხილველ მომთხრობელთან ერთად გულის სიღრმიდან არ აღმოთქვა: „ჩვენი მეზობლების ესეთი კაცთმოყვარეობა ყურადღებაზე და მადლობაზე უფრო ძვირად ღირს“. არა, სომხობას ამ მისი დიდი ტრაგედიის ჟამსაც შესწევს უნარი აღნიშნოს ადამიანების მაღალი მაგალითები და ფაქტები.“

მერმე გაზეთი იგონებს მსგავს ფაქტს როცა ომის დასაწყისში ხმელთაშუა ზღვის ნაპირებზე ფრანგების ნავმა გადაარჩინა მტრის კლანჭებს 5000 კილიკიელი სომეხი მეომარი, რომელნიც გმირულად ებრძოდნენ „მოსისხლე საზიზღარ მტერს“. მაგრამ ტყვიები შემოაკლდათ. ამ ფაქტმა მაშინ „სომხური პრესა და სომხის ერი მადლობის მხურვალე გრძნობით აღავსო. ასეა დღესაც, ჩიკალიძეების სახელი აღუნიშვნელი არ დარჩა ჩვენი მგლოვიარე პრესის ფურცლებზე“.

შემდეგ გაზეთი აღნიშნავს იმ ერთსულოვნობას რომელიც გამოიჩინა ტფილისის საბჭოს ყველა ფრაქციებმა „გოთუოდან მოკიდებული მენშევიკების სკამებამდე“ ბაქოში გამართულ „სასაკლაოს“ მომწყობთა წინააღმდეგ სასტიკ პროტესტის გამოცხადებაში.

„ამ სოლიდარობის ფაქტსაც, რასაკვირველია, უყურადღებოდ ვერ დასტოვებდა სომხის დემოკრატია და მისი პრესა. ესეც ერთი ნიშანთაგანია სხვათა შორის როგორც აღინიშნა საბჭოს სხდომაზე ერთმა მენშევიკმა ორატორმა, რომ საერთაშორისო პოლიტიკის უკანასკნელი ფაქტები ახალ ჰორიზონტებს შლიან კავკასიის დემოკრატიის ახლო მომავალის წინაშე ყოველივე ეს, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არ რჩება სომხის დემოკრატიას მიუხედავად თავისი კრიტიკული დამოკიდებულებისა საქართველოს დემოკრატიის, მმართველ წრეების და მთავრობის მოღვაწეებისადმი, რომელნიც შემცდარ პოლიტიკას აწარმოებენ (ამას ამტკიცებს მრავალრიცხოვანი ფაქტები) ჩვენი დემოკრატიის წინააღმდეგ; მიუხედავად იმ გარემოებათა, მაგალითად, თუ რა ფორმისა და შინაარსის სიტყვა წარმოსთქვა, რა კეთილი სურვილები მიუძღვნა ოსმალთა ბრბოს უფროსს საქართველოს სამხედრო მინისტრმა—სოციალისტმა; მიუხედავად იმ გარემოებისაც კი, თუ როგორ ამ კეთილ სურვილების აღსრულების—ბაქოს დაცემის—მეორე დღეს სოციალისტური და დემოკრატიული მთავრობის თავმა და მისმა თანაშემწეებმა მხურვალედ მიულოცეს ბაქოს აღება და გრძნობიერად ჩამოართვეს ხელი ჯაფაროვებს, რომელთა მიერაც წინა დღეებში მოწყობილი იყო ბაქოს ხოცვა-ჟლეტა პრესის მოწმობით, თვით მენშევიკების ორგანოების სიტყვით, დიახ, ჩიკალიძეების ნათელი სახე და საბჭოს სოლიდარობის ფაქტები იყონ მომავალში უფრო მტკიცე ერთობისა და სოლიდარული თანამშრომლობის თავდებად ჩვენსა და მეზობელ დემოკრატიათა შორის..

რამდენად მაკურნებელი და ყოვლად მხსნელი ძალაა თავისუფლებისა და ძმობის იდეა ყველესათვის განურჩევლად, განსაკუთრებით როცა შორს აღარ უნდა გვეგულებოდეს მისი გამარჯვების დღე.

და ჭეშმარიტად ეს დღე უკვე ახლოვდება...“

ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა სიამოვნებით აღგვენიშნა „ჟოღოვურდი ძაინ“-ის ერთი წერილის გამო (იხილე „სახ. საქმე“ № 363) რომ სომხურ პოლიტიკურ წრეებში, მათ პოლიტიკურ აზროვნებაში იმარჯვებს იდეა მეზობლებთან თახხმობისა და კეთილმეზობლურ განწყობილების შექმნისა, და გამოვთქვით სურვილი რომ ეს იდეა გამხდარიყოს სომხობის პოლიტიკის ნამდვილ მომქმედ ფაქტორად. ასეთივე სიამოვნებით და სურვილით ვეგებებით „ჰორიზონის“ დეკლარაციას... მაგრამ არ შეგვიძლიან გულისტკენით არ ალვნიშნოთ, რომ ჩვენი და ჩვენი მეზობლების სამწუხაროდ სომხები უგულებელყოფენ სომხური პრესის ქადაგებას სოლიდარობისა და კეთილმეზობლობის შესახებ.

მე მხედველობაში მაქვს ბორჩალოს ამბები და ტფილისში მანთაშევის ქარვასლის ირგვლივ თატრიალებული ინციდენტი. ჩვენ გ[illegible], რომ ეს საქართველოს სამტრო გ[illegible]სვლები თვით სომხის ხალხის მიერ არ არის მოწყობილი. ეს ის ჯგუფია, რომელსაც ხელსაყრელად მიაჩნია მოძმე ერების დემოკრატიათა შორის შურის ჩამოგდება და სისხლის ღვრა

ფ.-ტ. პირველი ყრილობა

(გაგრძელება)

ყველა ორატორის სიტყვებში ერთი და იგივე [illegible] ტირილი გამოიხატება უსახსრობის გამო. თვით თავმჯდომარეს მოჰყავს მაგალითი—როდესაც ერთ ტფილისელ ამხანაგს უნდოდა ქვაბის გაყიდვა, მაგრამ ამხანაგებმა მოუგროვეთ ფულები და დავიხსენითო.

ამხ. მესხი (ქუთაისი) შემაძრწუნებელი მაგალითი მოჰყავს „ერთ საღამოს შევიარე ჩემ ამხანაგ ფოსტალიონთან—ბავშვი ლოგინში იწვა—სიმშილისაგან დაავადმყოფებული; როდესაც მამა შემოვიდა—ბავშვმა უთხრა: „მამილო, შენ ხომ დამპირდი პურს მოგიტან—რატომ არ მომიტანეო“ მამამ მაუგო: „შვილო გავგზავნე შენი ძმა და საცაა მოგიტანსო“—საწყალი ბავშვი ველარ ეღირსა პურსა და სული განუტევაო!..

შემდეგ ორატორები ეხებიან სარაიონო-საორგანიზაციო—გამგეობათა დაარსებას—საიდანაც ირკვევა, რომ სულ ოთხი სარაიონო გამგეობა დაარსებულა (ნაცვლად ყოფილ კომიტეტებისა) ფოთისა, სადაც შედის გურია-სამეგრელოს ტ.-ტ. დაწესებულებანი; ქუთაისის—მთელი იმერეთის ფ.-ტ. დაწესებულებანი; გორის მთელი ქართლის ფ.-ტ. დაწესებულებანი—თელავის-კახეთის ფ.-ტ. დ. და ბოლოს მთავარი გამგეობა ტფილისში. მთავარ-გამგეობის მოღვაწეობა პირველად გამოიხატა იმაში, რომ მას დიდი ბრძოლა, თურმე დასჭირდა არა ქართველ მოხელეთა დათხოვნის ლიკვიდაციის აგრეთვე ნაციონალიზაციის საქმეში და ბოლოს იმისივე (მთავარ გამგ.) უნარით იყო მოწვეული ეს პირველი საქართველოს ფ.-ტ. მოხელეთა კონფერენცია—რაც იმედია დიდ ნაბიჯებს გადასდგამს, როგორც გაერთიანების—აგრეთვე რეორგანიზაციის საქმეში.

ასახელებენ ზოგიერთ უფროსებს. ტფილისის ტელეგრაფის უფროსს, რომლის მეოხებით ყველგან ტელეგრაფში რუსული განცხადებები და წარწერებია... აგრეთვე ბორჯომის უფროსს რომელსაც—დღესაც საქმის მწარმოებლად თურმე რუსი მოხელე ჰყავს და ყოველს მიწერ-მოწერას რუსულად აწარმოებს—ზოგი რაიონის წარმომადგენელი იმით მართლულობს თავს, რომ ტფილისიდან მოგვდის რუსული მოწერილობა და იმიტომაც ჩვენც რუსულად უპასუხებთო და სხვ...

ერთად-ერთი თელავის უფროსი—ნასიძის სიტყვით—რუსულ მიწერებზე ქართულად იძლევა პასუხს, რისთვისაც მას მადლობა უნდა ეთქვასო ..

ზოგიერთები (ორჯონიკიძე—ქუთაისი) ასახელებს შესაფერი ტერმინების უქონლობა გვიშლის ხელსაო.

დუნდუა (ტფილისი) მიუთითებს, იმაზე, რომ სწარფ მომუშავე აპარატები ქართულად უნდა გადაკეთდესო.

ტრ. ი—ძე.

(შემდეგი იქნება).

გამომცემელი
სამსონ ფირცხალავა.
რწმუნებული მთავარ კომიტეტისა.

ექიმი ზ. ა. მიქელაძე მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6—7 საათამდე, მიხეილის პროსპექტი № 118.

ექიმი ი. ი. ხიზანიშვილი. მიიღება ვენერიული საშარდე ორგანოების, სიფილისის (შეშხაპუნება 606—914) და კანის ავადმყოფობისა. დილით 9—12 ს. და საღამოთი 5—8 ს. ქალების მიღება 12—1 ს. კვირობით მხოლოდ დიდ მიხაილოვის შესახვევი სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ № 34. 301

ექიმი ქ. ხონი სპირიდონ დიმიტრის ძე ჯალაღანია. იღებს ავად. დილის 9—12 საათამდე. მისამართი: მათხოჯის ქ. საკუთარი სახლი. 2090

ექიმი კბილისა კონსტანტინე არდაზიანი განაახლა ავადმყოფების მიღება 11—2 საათამდის. მელიქოვის ქუჩა № 11 ექიმი არდაზიანის ბინა. 1219

ექიმი ქალი რ. ბ. შიშლო.-სააკაშვილი მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველ დღე **შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხანგზით დარიგებას.** სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. სერგიევის ქუჩა (სოლოლაკი) სახლი № 9. ერევნის მოედნის ახლო ტელ. 9—26. 5087

ექიმი დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება, შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, სიფილისი და მის შედეგები, შეშხაპუნება 606—914. საღამოს 5—7 ს. მისამართი გორის ქუჩა № 6. დიდიბე ტელ. 104. 2040

ექიმი ნიკოლოზ მახვილაძე იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვ. შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5—7 ს. ელექტრიზაცია და მისამართი მოსკოვის ქ. № 11. 2245

ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ვ. ბ. მეჟრაბიანცი

ჩამოვიდა და განაახლა. შინაგან ავადმყოფობა—ჭლექი და გულისა. ახალი რენტგენ-ელექტრ-კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა ✕ სხივებით, თავის ქუში ვენის ტიპისა, დიდი ხოლონოიდი, განსაკუთრებული ნაკადები დ'არსენვალისა ფილტვების სნეულებისათვის, გულის ავადმყოფობისა, ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 9—1 ს.-დე და საღამოს 6—8 ს., ბებუთოვის ქ., № 28, ტელ. № 7—92 1840

თვალის სამკურნალო მუდმივი საწოლით ექიმ დონხინისა

რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ასისტენტად იყო ვენასა და პარიზში თვალის კლინიკებში. თვალით ავადმყოფნი მიიღებიან დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ს. მიხეილის პროსპ. № 141 (აპოლოს კინო-თეატრის მახლობლად). მძიმე და საოპერაციო ავადმყოფები სრული პანსიონითაც მიიღებიან. 620

ექიმი ი. ძ. აბაძელია შინაგანი ავადმყოფობა. განსაკუთრებით ავადმყოფობანი გულმკერდის [illegible] ფილტვებისა, სასუნთქისა ფილტვების აპკისა, გულისა და ჯირკვლებისა. ამოცნობა (დიაგნოზი) და წამლობა ყოველი გვარი ჭლექისა, სისხლნაკლულობისა და მალარიისა. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს $4^1/_2$—6 საათამდე. პეტრიდის ქ. № 26. ტელ. 5—86. 1270

ექიმი პავლე არდაზიანი შინაგანი და ბავშვების ავადმყოფების მიღება ყოველდღე 11—2 ს. დილით და 5—7 ს. საღამოთი. მელიქოვის ქ. № 12. 1066

ექიმი მ. მუსხელიშვილი იღებს ავადმყოფთ დილის 12—2 საათ. ყორღანოვის ქ. № 6.

ექიმი ლ. ა. ხარაძე იღებს ყოველ დღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო. 2105

რენტგენისა და ელექტრონის სამკურნალო კაბინეთი

წითელი ჯვრის სარენტგენო კაბინეტის ყოფილ გამგის და მიხეილის საავადმყოფოს ექიმის ა. ლევინშტეინისა მიიღებს შინაგან და ნერვიულ ავადმყოფებს. სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა (ტუბერკულიოზი), გულისა, კუჭისა და ჭაჭებისა. მალარიის წამლობა. რენტგენოგრაფია ჩაწერით. დაჭრილებს რიგს გარეშე იღებენ. კრილოვის ქ. № 5, ბ. 3. მიღება 4—8 საათ., გარდა კვირისა. ტელეფონი 12—46. 2029

კერძო სამკურნალო

ექ. ა. დ. ალექსიძის

მომსვლელ ავადმყოფთათვის. ავადმყოფებ იღებენ ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები

გ. მ. რეკვავა—შინაგანი და ნერვების ავადმყოფობანი 9—11 ს.

მ. მ. ტყემალაძე—კანის და ვენერიული, სიფილის. 606—914 (ცრილის) 11—12 ს.

ი. ა. ლაზარევი—საბებიო საშვილოსნო ავადმყოფობანი 12—1 ს.

ნ. თ. ანდრონიკაშვილი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 1—2 ს.

ა. დ. ალექსიძე—შინაგანი და ქალთა სნეულებანი 2—4 ს.

მ. ნ. იშხნელი—შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი 4—6 ს.

ხ. გ. ჯაფარიძე—საბავშვო ავადმყოფობანი 6—7 ს.

ი. ა. ხათრიძე—ბაქტერიოლოგი—გამგე სამკურნალოს ლაბორატორიისა სადაც შეიძლება ყოველგვარი ანალიზის მოხდენა (შარდის, სისხლის, ნახველისა და სხვა).

ელექტრიზაცია, მასაჟი, აცრა და ნემსების გაკეთება.

სამკურნალოში ღამითაც იმყოფება მორიგი ექიმი.

მისამართი: ირაკლის ქუჩა № 5, ეგზარხოსის მოედანთან, ტელეფონი № 9—49.

სამკურნალოში ყოველთვის იმყოფება მორიგი ექიმი. 2178

ექიმი ნ. ლ. ტურიაშვილი (მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა) ღებულობს ავადმყოფებს ყოველ დღე შუადღის 12—2 და საღ. 4—5 საათამდე. შინაგანი, ბავშვებისა, საბებიო და საშვილოსნოს სნეულებანი. ნიკოლოზის ქუჩა № 7. სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით. 908

ექიმ ნაგახარდიანის კერძო კერძო სამკურნალო.

(დაარსებულია 1880 წელს)

ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ ყოველ დღე (გარდა კვირისა) დილით:

„606“ და „914“ 11—12 ს.

ს. ა. ნაგახარდიანი—11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილის. ავადმყ.)

ბ. ბ. აგახაროვი: 10—12 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

მ. გ. აგეტისიანი—კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს 12—1 ს.

დ. ი. ჯაფარიძე: 10—11 ს. ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი.

მ. მ. ზენიამოვიჩი: 10—12 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის სნეულებანი.

ს. გ. აგეტისიანი 11—12 საკუთარი ბავშვთა ავადმყ.

ი. ი. ტერ-გრიგორიანცი, 12—1 ს. შინაგანი.

რჩევა-დარიგება 3 მან. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ა. ნაგახარდიანი.

სამოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„სახალხო საქმე“

ღირს: თვით 10 მან., ნომერი ღირს პროვინციასა და ტფილისში 50 კაპ., რკინის გზის სადგურებზე 60 კ., განცხადება: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვ. 60 კაპ., უკანასკნელ გვ. 40 კაპ. სამგლოვიარო განცხადება 15 მან. ხელის მოწერა და განცხადება მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, სასახლის ქუჩა, № 6, ფოსტის ყუთი 190, ტელეფონი 12—29.

ტფილისი, სტამბა „სახოსაქმე“ ბარონის ქუჩ.